

პეიტი ჯექსონი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყვს წმიდა და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განალებს, და არავინ დაჰქმას, გარნა განმლებელმან მან, და არავინ განაღოს დაქმული იგი.“

(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ყოველთვიური გაზეთი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
მცხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსისა და
გიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტის ილია II-ის
საუმოგაო ეპისტოლე


გვერდი მე-2

საღვთისმეტყველო ნაჩილები

„ფსალმუნთა“ ერთი მუხლის
პარტიკული გაგებისთვის

გვერდი მე-10

**ქართული
გალობის
სამსახური**



கவிதை நூல்கள்




თამარ ნუცუბიძე: **ღაუფიწყარი უმჯავდრები ნიინლა სპანაუმი**

პეტრე მამრაძე: **აღაშიანი-სიგოლო**

ნაწული სარაჯიშვილი: სწორუთქვარი მოქალაქე

გვერდი მე-5-6-8



მშენებლის სინდრომი

**მამაღაპრის
ტაძარი**

გვერდი მე-11



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
მსხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსისა
და გიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტის ილია II-ის
საუბრაო ეპისტოლე

საქართველოს წმინდა კართლადიდავლი ეპისკოპოსი
წავსკო, მკვიდრთ იმერისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ
მსხოვრებ თანამეგობრულად:

“იხარებდით მართალნი, მხიარულ იყვენით ცანი,
იმღერდით მთანი, მეუფე იშვა, ქრისტე, ქალაქსა და-
ვითისსა, ბეთლემს ჰურიასტანისასა“

(უკველანი იაღბარი)



ღმერთს განუოჩებული სული კვდება!

მოვედით ერნო, რათა მადლიერებით მოვის-
სენოთ ადამიდან დღემდე ყველა, ვინც სათნო
ყო ღმერთს, - წმინდა მამანი და დედანი, ის
ოჯახები, რომელთა მეგვიდრებაშიც ინება
უფალმა განხორციელება, მოვისსენოთ წმინდ-
ანები, რომელთაც წინასწარ გვიქადაგეს ღვთის
სიტყვის სორცშესხმა და ის უცნობი მოძღვარ-
ნი და ერისკაცნი, რომელნიც ქრისტეს მოსვლის
მოლოდინს სასოებით გადასცემდნენ თაობებს.

ესენი ძირითადად იყვნენ იმ პერიოდის მსოფლიოში
ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი ერთადერთი ერის, ის-
რაელის, შვილნი. მართალია, იშვიათად სხვა ხალხებ-
შიც არსებობდნენ სულიერებით გამორჩეული პიროვნე-
ბები, მაგრამ მხოლოდ ამ წილმა შეძლო უწყვეტად
შეენარჩუნებინა კავშირი ღმერთთან და ჩირაღდნად
ქცეულიყო მთელი წარმართული კაცობრიობისთვის; იმ
კაცობრიობისათვის, რომელმაც არაერთი ცივილიზაცია
შექმნა და რომელსაც საოცარი მიღწევები ჰქონდა ფი-
ლოსოფიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მწ-
ერლობაში, ხელოვნებაში...

მაინც რით შეძლო, ერთი შეხედვით, უბრალო ერმა
გამორჩეული ყოფილიყო ასურეთის, ბაბილონის, სპარ-
სეთის, ეგვიპტის, კრეტა-მიკენის, ბერძენთა, რომაელთა
და სხვა იმპერიებთან შედარებით?

ამ იშვიათებაში დაკარგული იყო უმთავრესი, - ქვეყანაში
ღვთის სოფლა. ანა თუ იმ სფეროში გაუმოწონილი ღიღი განვი-
თარკინი მიუხედავად, წარმოადგენდა უდიდესი
იყო კალაქობრივი, ჩაბარითი, ეკონომიკური, - თავის თავზე
ორიანობაში.

ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ ძლიერი ხე-
ლისუფალი თუ პიროვნება იმონებდა სუსტს; იმ-
პერატორებს სხვათა ტერიტორიებისა და მათი
ძალაუფლების ხელში ჩაგდების დაუოკებელი
სურვილი ამოძრავებდათ; იყო გაუთავებელი
ომები, შური, ღალატი, ვერცხლისმოყვარეობა,
აღვირახსნილი ცხოვრება და გაუკუღმართებული
ურთიერთობები; ადამიანის ღირსება - გათელილი
და გაუფასურებული, დაბალი ფენის მამაკაცები
და, განსაკუთრებით, ქალები - მოხმარების სა-
გნად ქცეულნი.

ყოველივე ამას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარე-
მოება, რომ წარმართული „ღმერთებიც“ მიწიერი
იყვნენ, რომელთათვისაც, უცხო არ იყო ადამიანური
ენებანი. სულიერი ხსნა კი არსად ჩანდა და სიცოცხ-
ლესაც არ ჰქონდა აზრი.

ასეთ მძიმე გარემოში, მართალია, დიდი დაცემე-
ბით, მაგრამ მაინც ასერხებდა იაკობის მოდგმა თავის
წილში დაეცვა ცხოვრების საღვთო, სარწმუნოებრი-
ვი წესი, მოყვასის სიყვარული, შეენარჩუნებინა მესი-
ის მოსვლის მოლოდინი, მოლოდინი გადარჩენისა და
განცდა იმისა, რომ ამქვეყნად ყველაფერი და თვით
სამეფო საყდარიც ზეციურ უფალს უნდა ეკუთვნოდეს
და იგი უნდა იყოს ერის წინამძღოლი; რომ ხელისუ-
ფალნიც, მოძღვარნიც, წარჩინებულნიც და რიგითი
მოქალაქენიც, - თავისი მოვალეობისამებრ, მის ნებას
უნდა აღასრულებდნენ.

ეს ყოველივე მთელი სისასვით მეფეთა შორის
ყველაზე ნათლად წმინდა დავით წინასწარმეტყველს
ჰქონდა გაცნობიერებული.

როდესაც იგი შაბათობით აღთქმის კიდობნის წინ
ლოცვად დგებოდა, სამღვდლოებისა და ერის წინაშე
ხმამაღლა შეჰლაღადებდა სოლმე შემოქმედს:

„ვენი მეფობა (ლკათო), მეფობა ყველა საუკუნე და ვენი
სუფავე ყველა თაობაზე“ (ლკ.14,13) „უფალს მართლის მეფობა
და ის არის ხალხთა გარდასახვა“ (ლკ.21,29) და სხვ.

მან ეს ლოცვები, რომლებიც ზეციური მეფისა
და მისი სასუფეველისადმი იყო მიმართული, საგაღდე-
ბულოდ დაუწესა თავის შთამომავალ მეფეებსაც და
ხალხსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ საუკუნეთა მანძილზე
რომელ ქვეყანასაც ისრაელის მცირერიცხოვან ერთან
ჰქონდა შესება, თუნდაც იგი დამპყრობელი ყოფილიყო,
ისრაელი ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებლობით
მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მასზე და საყ-
ოველთაო გადარჩენის მოლოდინს აღვიძებდა ყველაში.

შეგახსენებთ ერთ მონაკვეთს ბაბილონის ცნობილი
მეფის ცხოვრებიდან:

ბაბილონის იმპერიის ზეობის პერიოდში მას
ნაბუქოდონოსორი განაგებდა. მან მრავალი სამეფო
დაიმორჩილა, მათ შორის, იუდეაც და დაპყრობილი

ვეიყვარე მოყვანი, ვითარცა თავი
თვისი და ვეიყვარე გვარიც! ვეუნდა
მონაწილს, „არავის მიგოთ გოროში
გოროშისა წილ, კათილს ხდილოგდეთ
ყველა აღაპიანის წინაშე; თუ შესაქლ-
ბელია, თქვენი გხრივ, ყველა აღაპიან-
თან გვვიღოვით იყავით“ (ლკ.12, 17-18).

ქვეყნებიდან მძევლად წაიყვანა ხელისუფალთა შვილები
და ნიჭიერი ახალგაზრდები. ყმაწვილებს შორის იყო
დანიელიც იუდეიდან, - წინასწარმეტყველური ნიჭით
დაჯილდოებული, გონიერი, მოსეს სჯულის მტკიცე
დამცველი ჭაბუკი.

ერთგულ ნაბუქოდონოსორმა უცნაური და მრავ-
ლისმეტყველი სიზმარი ნახა. შეძრწუნებულს გამოეღვიძა
და მის ასახსნელად თავისი სამფლობელოს ყველა მის-
ანს, ქურუმს, მოგესა და ვარსკვლავთმრიცხველს უხმო.
უნდოდა, მათგან სიმართლე მოესმინა, ამიტომაც, მე-
ტად უცნაური რამ მოსთხოვა: მათ უნდა გამოეცნოთ,
თუ რა სიზმარი იხილა მბრძანებელმა, და აესხნათ
მისი მნიშვნელობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას
სიკვდილი და სახლ-კარის გადაწვა ემუქრებოდა.

სასახლის შემინებულმა ბრძენკაცებმა შეჰბედეს
მეფეს და უთხრეს: მსგავსი რამ არავის არასდროს
მოუთხოვია. თქვენს სურვილს კაცთაგან ვერავინ შეა-
სრულებსო.

ნაბუქოდონოსორმა ყველას წამება ბრძანა.

ვიდრე მისი განკარგულება აღსრულდებოდა,
წინასწარმეტყველმა დანიელმა ითხოვა მეფეს-
თან შესხედრა და, სიკვდილისფილთა გათავი-
სუფლების სანაცვლოდ, სიზმრის ასხნა აღუთქვა,
რადგან მან და მისმა მეგობრებმა ზეციური ღმერ-
თისგან გამოითხოვეს შემწეობა ამ საიდუმლოს
გასაგებად და უფალმაც დანიელს გაუცხადა და-
ფარული.

ჭაბუკმა უთხრა მეფეს, რომ სიზმრით
უფალმა აუწვა იმ დღეთა და ხელმწიფე-
ბათა შესახებ, რომლებიც მის შემდეგ იქნე-
ბოდნენ. კერძოდ, იხილა დიდი და საოცრად

„არა არს ჰურიანება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურობა, არა არს
გარჩევა გვერდისა, არცა ღვლასისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხარო ქრისტე
იხსოს მიერ“ (გალ.3,28), - აი, ყოვლად აღმაგებელი სწავლება, რომელმაც გვერდი-
ვით განკვეთა ძველი საყვარო.



ელვარე, მაგრამ საშინელი შესახედაობის ქანდაკება, კერპი, რომელსაც თავი ოქროსი ჰქონდა, ხელები და მკერდი, - ვერცხლის, მუცელი და თეძოები, - სპილენძის, ხოლო ქვედა კიდურები, - რკინისა და, ნაწილობრივ, თიხის. შორიასლოს იყო მთა, საიდანაც თავისით, ხელისუკერელად, ლოდი დაგორდა, კერპს რკინისა და თიხის ფხვბზე დაეცა და იგი ერთიანად შემუსრა. შემდეგ ეს ლოდი დიდ მთად იქცა და მთელი დედამიწა აღავსო.

ჭაბუკმა წინასწარმეტყველმა ისიც განუმარტა მბრძანებელს, რომ ნანახი კერპი ოთხი იმპერიის სიმბოლო იყო. ოქროს თავი მას და ბაბილონს განასახიერებდა, დანარჩენები კი, შედარებით ნაკლებნი, იმ იმპერიებს, რომლებიც ბაბილონის შემდეგ აღორძინდებოდნენ (იგულისხმება სპარსეთის, საბერძნეთის, რომის) და რომ მეოთხე იმპერიის ზეობისას ამქვეყნად მოიწეოდა მეუფება მარადიული და ჭეშმარიტი, რომელიც შემუსრავდა ყველა სამეფოს დედამიწაზე, თვითონ კი უკუნისამდე იარსებებდა.

ნაბუქოდონოსორი გაოცებული და შეძრული იყო მოსმენილით. იგი დაემხო მიწაზე და აღმოთქვა: „ჭეშმარიტად, ღმერთთა ღმერთთა თქვენი ღმერთი და მეფეთა მეუფე.“ შემდეგ კი დანიელი დანიშნა თავის კარზე მთავარ მრჩევლად.

მართალია, მეფემ აღიარა ძლიერება ჭეშმარიტი ღვთისა, რომლის სიდიადე სხვა დროსაც კიდევ რამდენიმეჯერ იხილა, მაგრამ წინაპრების კერპებს მაინც ვერ განეშორა, თუმცა იუდეველთა რწმენის პატივისცემელი გახდა და აღარ აიძულებდა მათ ბაბილონის პანთეონისთვის ეცათ თავყვანი.

ამ ამბებზე მთელი ბაბილონი საუბრობდა, - ხალხიც, სიკვდილს გადარჩენილი მოგვებიც და სხვა ბრძენიც ისტორიებს თაობიდან თაობებს გადასცემდნენ.

მათ წინასწარმეტყველ დანიელისგანვე იცოდნენ, რომ ის სიზმრისეული ლოდი შვიდ შვიდათეულში, ანუ 490 წელიწადში განეცხადებოდა სამყაროს; ამიტომაც, როდესაც ეს დრო დადგა და იხილეს უჩვეულო ვარსკვლავი, მოგვებმა იგრძნეს ჭამის მოახლოება; სამეფო ძღვენი, - გუნდრუკი, ოქრო და მური, თანაწარიდეს და ვარსკვლავს გაჰყვნენ დასავლეთისკენ მიგებებად მესიისა.

და მართლაც, ნაბუქოდონოსორის სიზმრის მეოთხე სამეფოს, რომის იმპერიის, ბატონობის პერიოდში, I საუკუნეში, იუდეაში, დავით მეფის ქალაქად წოდებულ ბეთლემში, კაცობრივი ბუნების მიღებით, ადამის მოდგმის გადასარჩენად მოგვევლინა ძე ღვთისა. იგი სიმბოლურად დანიელ წინასწარმეტყველის სიზმრის ლოდია (დან. 2.45), რომელიც თავისთავად მოსწყდა მთას (იგულისხმება მისი უბიწოდ შობა ღვთისმშობლისგან) და დედამიწა აღავსო.

ქვაბულში, პირუტყვის ბაგაში, მწოლი ჩვილი - უფალი იესო ქრისტე საოცარი სიმდაბლით წარუდგა მსოფლიოს, რათა თავისი ხორციელი მყოფობის პირველივე წუთებიდან კაცობრიობისთვის მიეცა მაგალითი თავმდაბლობისა, უბრალოებისა და თავისი ქმნილებისადმი განუზომელი სიყვარულისა.

იესოს ამქვეყნად მობრძანებით, ერთი მხრივ, აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, მეორე მხრივ კი, გარკვეული აზრი მიეცა თვით წინაქრისტიანულ ეპოქათა მიღწევებსაც, რადგან ღმერთთან მარადიული თანამყოფობის შესაძლებლობის მოტანით, აზრი მიეცა სიცოცხლეს; ამასთან, ქრისტეს ეკლესიის სახით, სათავე დაედო მაცხოვრებელ წიაღს, რომელსაც მიწიერი წარმომავლობა არა აქვს, ზეციურია, ღვთისგანაა დაფუძნებული და წარუვალი, თუმცა ამქვეყნად მყოფობს.

მისი წევრი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც სამოთხეში ჩადენილი ცოდვით შებღალულ შემოქმედის ხატებასა და მსგავსებას თავის თავში განაახლებს, ანუ ღვთისა და ადამიანის ჭეშმარიტი სიყვარულით აღვსილი (იგულისხმება ნებისმიერი ადამიანი და არა მხოლოდ თავისი ერის წარმომადგენელი, როგორც ეს ძველ აღთქმაში იყო), ყოვლადწმინდა სამების სახელით მონათლული და აღსარებითა და ზიარებით მასთან დაკავშირებული, მაცხოვრის მცნებებით ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

„არა არს ჰურიანება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს გარჩევა მამაკაცისა,

არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხარო ქრისტე იესოს მიერ“ (გალ.3,28), - აი, ყოვლად აღმატებული სწავლება, რომელმაც მასწავლებით განკვეთა ძველი სამყარო.

შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი და შეიყვარე მტერიც! შეუნდე მონანულს, „არავის მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ, კეთილს ცდილობდეთ ყველა ადამიანის წინაშე; თუ შესაძლებელია, თქვენის მხრივ, ყველა ადამიანთან მშვიდობით იყავით“ (რომ.12, 17-18).

თუ გსურს პირველობა ან უპირატესად ყოფნა, გახდი ყველას მსახური (ანუ - თავმდაბალი ყველას მიმართ), დაიცავი გულის სიწმინდე, ნუ გააკეთებ სიკეთეს საჩვენებლად და გაეცი მოწყალება უშურველად, სამაგიეროს მიღების სურვილის გარეშე; იცხოვრე სხვისთვის, როგორც ცხოვრობ საკუთარი თავისთვის, ხოლო ვინც შეძლებს თავი გაწიროს სხვისთვის, იგი უმაღლეს სათნოებას მოიპოვებს. - ასეთი რამ მანამდე არ სმენია კაცობრიობას.

ეს იყო მაცხოვრისგან ადამიანთა აზროვნების რადიკალურად შემობრუნების შეთავაზება, შეთავაზება სულ სხვა სიმაღლისა, სულ სხვა დიდებისა; გაცხადება მისთვის ჭეშმარიტი ღვთისა და ჭეშმარიტი ადამიანობისა.

კაცობრიობას ეს რომ გაეცნობიერებინა და თითოეულ ჩვენგანს ამისთვის მიეღწია, იესო გახდა სრული ადამიანი (ცოდვის გარეშე), რათა ჩვენ გავმხდარიყავით მადლით ღმერთნი;

ეს ურთულესი პროცესია და დიდ ძალისხმევას ითხოვს, რადგან ცხოვრების გზაზე ნებისმიერ ადამიანს მრავალი დაბრკოლება ხვდება, მით უმეტეს - მართლმორწმუნეს.

შეიძლება თქვენ დიდ ცოდვაშიც ჩავარდეთ და მძიმე ვითარებაში აღმოჩნდეთ, მაგრამ იცოდეთ, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

არასდროს იფიქროთ თვითმკვლელობაზე, არ მისცეთ სულს ამ დამღუპელი სისუსტის დაშვების უფლება. ჩვენ სიცოცხლე იმიტომ მოგვეცა, რომ წარმატალი სიცოცხლიდან მარადიულ სიცოცხლეში გადავინაცვლოთ! გახსოვდეთ, სინანულს უდიდესი ძალა აქვს და მას სასწაულის მოხდენა ძალუძს.

ამიტომაც, არ შეეგუოთ დაცემას და ღვთის იმედი მუდამ გქონდეთ.

გწამდეთ, უფალი ყოველგვარ ტკივილს სიკეთედ და ჩვენი სულიერი წინსვლის საშუალებად აქცევს, თუ ლოცვითა და სინანულით დავითმენტ განსაცდელს და მაცხოვრის სწავლებით წარვემართებით.

* * *

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ უღიჟღესი ნაწილი შეიგნა და გაღაწეწეწი ფაქტორად იქცა პრაქტიკულად ყველანაირი იმპერიალიზმი, პათოლოგიური პარაზიტიზმი და სხვა სახელმწიფოთა ფორმირებაში; ამაგან უფლის პერსონალური მოსწავლე, ანუ პარაღიულის სასაუბროსი დაგვარებად, გვღვივებ იმედას გრძოლს კეთილსა და გორბს შორის, გვღვივებ ღვაჭიროებას სულ უფრო მეტი კალისხმევის სინათლის დასახელებად, რადგან ეს ღვაჭიროება თანდათან უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს.

ამიტომ თქვენს ჩვენი დრო.

საყვარო ყოველთვის ნინაღვამოგორივი იყო, მაგრამ დღევანდელ კონფლიქტებსა და ომებს თან სდევს რეალური საშიშროება იმისა, როგორ ნაშინივი პათოლოგიური კაპიტალიზმი იქცეს და მთელი კაცობრიობა განადგურდეს. ამიტომაც ყველას, ჩვენი შესაძლებლობებისაგან, გვარამეც ზრუნვა გვთხოვს. ღვაჭობა გვთხოვს აკრძალვას, ანუ აღმოსავლეთი და მთელი მსოფლიო.

მოგესვენებათ ისიც, რომ ბოლო საუკუნეებში შესუსტდა ჭეშმარიტი რწმენა და იმძლავრა უღმერთობა; შემოქმედის ადგილი ადამიანმა თავისი თავით ჩაანაცვლა. წინ წამოიწია პრინციპმა, - ჩემი მორალი და შეხედულება განსაზღვრავს ჩემს რწმენას; მაშინ, როდესაც სწორედ რწმენა ღვთისა და მისივე მცნებები განსაზღვრავს მორალსაც და შეხედულებებსაც.

დღეს, როგორც არასდროს, გაჩნდა რეალური საშიშროება იმისა, რომ ადამიანის ეგოცენტრულობამ საფრთხე შეუქმნას იმ მიზანს, რისთვისაც საერთოდ დავიბადეთ, რადგან მსოფლიო ტექნოლოგიუ-

ღვაჭობა ლოგიკურ კაპიტალიზმზე მაღლა დგას, აღაშინებს გონებას და პირისწილად პირს კაცობრივი სოფლის მთლიანი ჯანით და პირს ინფორმაციის სისასნით, ამიტომაც, სოფლისთან ერთად, საქიროა ჩვენსა და ღვთიერი მაღლით აღსება, რომ აღაშინი ნარკარულ გლობალიზმს არ დაუბრუნდეს.

რად ვითარდება, მაგრამ მას ჩვენი სულიერი წინსვლა ჩამორჩება და ვდგებით მრავალი ფსიქოლოგიური და ბიოეთიკური გამოწვევის წინაშე.

ჩვენს ცხოვრებაში უკვე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხელოვნური ინტელექტიც, რასაც სამეცნიერო წრეებში მანქანური სწავლებით მიღებული ხელოვნური ინტელექტის მოდელს უწოდებენ.

ცნობილია, რომ ხელოვნური ინტელექტი არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ჯამი, კოლექტიური ცოდნა, რომელიც ალგორითმებით იძლევა შესაბამის ინფორმაციას. ამ საშუალებით ადამიანს ექნება წვდომა მრავალგვარ მონაცემებზე მისთვის სასურველ ნებისმიერ სფეროში, რაც ტექნოლოგიურ წინსვლას კიდევ უფრო დააჩქარებს.

ხელოვნური ინტელექტის აქვს პოტენციალი, უღიჟღესი გარდაუდებები შეიგნოს ჩვენს ცხოვრებაში და მთლიანად შეცვალოს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, თუმცა, აღაშინებს სულიერი განვითარების გაჩენა, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები ახსილად განსათმავლისწინააღიწეს.

უფრო და უფრო მკვეთრად დგება კითხვა: შეძლებს ადამიანი, გააერთიანოს ქრისტიანული ცხოვრების წესი და თუნდაც ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და ღვთის სადიდებლად მიმართოს იგი? თუ თავის თავში დაჯერებული, თავისივე ქმნილებით მოხიზლული და მასზე მიჯაჭვული ადამიანი ღმერთს კიდევ უფრო განეშორება?

ვეფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების და იმ სპეციალისტების შეხედულებების გაცნობა, რომელთაც ხელოვნურ ინტელექტთან აქვთ შეხება, რადგან უახლოეს მომავალში ყველა ამ ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდება და აუცილებელია, ჩვენი საზოგადოება მომზადებული შეხედეს მას.

ერთი რამ კი ცხადია: თითოეული ჩვენგანი უნდა ისწრაფოდეს პიროვნული სრულყოფილებისკენ, რაც უპირველეს ყოვლისა, ღვთის შეცნობის და მისი ჭეშმარიტების წვდომის სურვილს გულისხმობს.

ღმერთი ლოგიკურ კატეგორიებზე მაღლა დგას, ადამიანური გონება მას ვერ მისწვდება ვერც კაცობრივი ცოდნის მთლიანი ჯამით და ვერც ინფორმაციის სისასნით, ამიტომაც, ცოდნასთან ერთად, საქიროა რწმენა და ღვთიური მადლით აღვსება, რომ ადამიანი წარმართულ მდგომარეობას არ დაუბრუნდეს.

* * *

ღმთის პირი, ძველი აღთქმის წიაღში, დაიბადა დედათა შორის კურთხეული, ყოვლადწმინდა ქალწული, რომლის მიერაც იშვა მაცხოვარი სოფლისა, - ადამისა და ევას ცოდვითა და ცრემლთა აღმსოცევი.

უფალი მოვიდა ამქვეყნად, რათა კვლავ გავგრძელებინა განსწავლა კაცობრიობისა, როგორც ამას ედემში, ჩვენს პირველშობლებთან მიმართებაში იქმოდა.

ქრისტიანობის ისტორია საესება ჭეშმარიტად განსწავლული ადამიანებით, რომელთა შრომები სიბრძნის უღვევი წყაროა.

გავიხსენოთ მოციქულები, აგრეთვე, წმინდა მამები: ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი, იოანე დამასკელი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური და სხვანი მრავალნი.

გავიხსენოთ სოლომონ ბრძენიც და მისი სი-



ტყეები: „მან (დმერთმა) მომცა მე არსებულთა უტყუარი ცოდნა, რათა შემეცნო სამყაროს წყობა და სტიქიათა მოქმედება, დასაბამი, დასასრული და შუახანი, მზებუდობათა მონაცვლეობა და არეთა შენაცვლებანი, წელიწადის ბრუნვა და ვარსკვლავთა განლაგება, ცხოველთა ბუნება და მხედთა თვისება, ქართა ქროლვა და კაცთა ზრახვანი, მცენარეთა მრავალფეროვნება და ფესვების ძალა. ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნე განმსწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (სიბრძნე სოლომონისა 7, 17- 21).

მოვისხენოთ ადამიც, რომელსაც, ყველსაგან განსხვავებით, სამოთხისეული განსწავლა, შემდგომ კი, ჩადენილი ცოდვის გამო, ღრმა სინანული ჰქონდა.

ამიტომაც მან და მისმა შვილმა, სეითმა, მთელი ცოდნა და ძალისხმევა ღმრთის სათნოყოფისთვის და მარადიულ ნეტარებაში დაბრუნებისკენ მიმართეს; განსხვავებით კანისა და მისი შთამომავლებისაგან, რომელთაც ღმერთი დაივიწყეს და თავისი მონდობა ამქვეყნიური კეთილდღეობისკენ წარმართეს; აღარ ზრუნავდნენ სულზე და სიკვდილის შემდგომი მდგომარეობაც აღარ აინტერესებდათ.

კაცობრიობაც მთელი თავისი განვითარების მანძილზე ამ ორ გზას შორის მერყეობდა და მერყეობს.

როგორი იქნება ჩვენი არჩევანი?

თუ შევძლებთ სწორი პოზიციისგან ვიპოვიოთ ღმერთი, აღაშენებთ, გუნებათ, მიჰყოფს და გვამოგონებს, ვერაფრით ვერ მოვლოდინოთ მიღწევა ვერ გავაუმჯობესებთ შენამდგომარეობას,

არაფერს ვერ გავაუმჯობესებთ შენამდგომარეობას, რადგან ჩვენი გონიერება და სულიერი წინსვლის ღირსეულობაა.

ამიტომაც დღეს ყველაზე მეტად გვესაჭიროება მაცხოვრის შობის საიდუმლოს გაცნობიერება, რადგან დედამიწაზე განხორციელებული ქრისტე ყოველ დროს და ყველა ეპოქაში გვწინამძღვრობს, გვიჩვენებს სწორ გზას და გვანიჭებს სხნას.

იგია სრული სიყვარული და სიკეთე, სრული ცოდნა, მშვიდობა და სიბრძნე, რომელიც მარადიულად და დაუსრულებლად განაახლებს, განაბრძნობს და განწმენდს მის თანაზიარს.

ყველას, ვინც მაცხოვრის შობის სიხარულით ცოცხლობს, ვულოცავ ამ დიდებული დღის შემობრძანებას. ვულოცავ ზეციურ და მიწიერ სამყაროს, სრულიად საქართველოს, თითოეულ თქვენგანს; ვულოცავ სელისუფალთ, უცხოეთში მყოფ თანამემამულეთ, ჩვენს ერთგულ მრევლსა და სასულიერო პირებს! ვულოცავ ჯარისკაცებს, სპორტსმენებს, მეზღვაურებს, ექიმებს და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ყველა სხვა დამაშვრალს; ვულოცავ მოსუცებსა და ახალგაზრდებს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მოსწავლეებს, განსაკუთრებით კი, ბავშვებსა და ახალშობილებს; ვულოცავ პატიმრებს, სნეულებაში მყოფთა და მშობლების მზრუნველობას მოკლებულთ...

ყველას გლოცავთ და გახარებთ მხსნელის

მოვლინებას!

სულიერად განმტკიცდით და გაძლიერდით, და არაფრის შეგეშინდეთ!

უფალთან არ დაგეკარგებათ თუნდაც ერთი გულითადი ღოცვა და სინანულის ცრემლის ერთი წვეთიც კი.

გწამდეთ, ყველაფრის მიუხედავად, იესო ქრისტეს ყოველთვის ჩვენთვის მაცხოვრებელი გზით მივყავართ; ამიტომაც მუდამ იყავით მადლიერნი მისი და გქონდეთ სასიუხე.

ვინც ღმერთი პოვავ, უმთავრესი შეიძინა; ღმერთს განშორებული სული კი კვდება, როგორც სულს გაყრილი სხეული.

და კიდევ, - ყველა და ყველაფერი უძლურია იქ, სადაც უფალი თავის ძალას ავლენს.

„უბირატეს ჟამთა მამისგან შობილსა ძესა და ქალწულისაგან სორცშესმულსა, ყრმანი აქებდით, მღვდელნი უგალობდით და ერნი უფროსიად აღამაღლებდით უკუნისამდე“ (ძლისპირი), ამინ!

ბეთლემში შობილი იესოს სიყვარულით
თქვენთვის მლოცველი,

ქილა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
თბილისი, ქრისტეშობა, 2024

„საოცარი

სიყვარულით და უზრალეობით გამოჩენილი“...

გაზატი „კლიტა ღვთისის“ კორა-საოცარი, ჟურნალისტი ვიქტორია ქათამაძე ძალაქ თბილისის თამბის დასახლებაში ეწვია სახლს, სადაც უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღრე ცხოვრობდა. ესაუბრა იმ ღვთა-ნაშუალები ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ შოთა ნიქაბაძეს. მიიტხველს ვითაზოვოთ ამ სტუმრობის ამსახველ ვრცელ ინფორმაციას.

„საოცარი სიყვარულით, პატივისცემით, უზრალეობით გამოჩენილი“, ასეთია ჩემთვის ერის მწყემსმთავარი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე.

პატრიარქის განსაკუთრებული ურთიერთობა ადამიანებთან, მისი დამოკიდებულება მშობელ მინასთან, უჩვეულო და სამაგალითოა. დავძენ, უწმინდესის ყველა აზრი-ჩანაფიქრი ადრე, თუ გვიან სრულდება! მასთან ერთხელ შეხვედრაც კი დიდი სიხარული და ბედნიერებაა“, - ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი დეკანოზმა, მამა შოთა ნიქაბაძემ, 8 შეილის მამამ, რომელიც თემქის დასახლებაში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია, სწორედ იქ, სადაც წლების წინ ილია მეორე მოკრძალებულად ცხოვრობდა.

„რამდენი ადამიანი ამყოფს იმით, რომ უწმინდესს შეხვედრია... მეც დიდი მოწინებითა და განსაკუთრებული მადლიერებით მივსა ვისაუბრო მის უწმინდესობაზე. თავდაპირველად გავისხენებ, ჩვენი შეხვედრის პირველ ეპიზოდს - 1990 წელს, სემინარიაში ჩავაბარე გამოცდები, შობის ღამის თევის მსახურებას ვესწრებოდი, სწორედ მაშინ პატრიარქმა საკურთხეველში


სტუდენტები მიგვიწვია და გარკვეული თანხით დაგვაჯილდოვა. თავად პატრიარქი თავისი იგავიშენდომელი უზრალეობით სიყვარულს ასხივებს. უწმინდესთან ყოველწამიერი ყოფნა დიდი სიხარული, ბედნიერებაა! არასოდეს დამავინწყდება ილია მეორესთან საუბრით მოგვრილი სიხარული. როდესაც დიაკვნად მაკურთხა, 2004 წლის 6 მაისს, გიორგობის დღესასწაული იყო, მოულოდნელად დამიძახა და მითხრა: მამაო, ჩემს ძმას შოთა ერქვა... ამით მაგრძნობინა მისგან დიდი ახლობლობა. ეს ჩემთვის ისეთი შვება იყო, რომ დღესაც მომყვება მისი კვალი. დიას, პატრიარქს განსაკუთრებული უშუალობა სჩვევია.

თემქის დასახლებაში, სადაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, ძირითადად მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობდნენ, თავად ეს კორპუსი ამხანაგობის წევრებზე იყო განაწილებული. უფრო კონკრეტულად კი, გარკვეული ჯგუფი შეერთდებოდა და მსგავს სახლს აშენებდა. როგორც ვიცო, საქართველოში 70-იან წლებში, უწმინდესის ოჯახს სახლი სოფელ სნოში და მცხეთაში ჰქონდა, თბილისში კი საცხოვრებელი არ გააჩნდა. ჩვენი პატრიარქი როცა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი იყო და დედაქალაქში რომ ჩამოვიდოდა, სადმე ხომ უნდა გაჩერებულიყო?! და აი, ასე გადაუწყვეტიათ, ამ ადგილზე დასახლება. კორპუსში სართულის არჩევა საოცარი ისტორიაა - ჩვეულებრივ პირველ სართულს სხვადასხვა მიზეზების გამო არ ირჩევდნენ, მაგრამ უწმინდესს უთქვამს: დაბალი სართული მიჩვენია, მიწასთან ახლოს ვიქნებითო... საყოველთაოდ ცნობილია, რომ პატრიარქს განსაკუთრებით უყვარდა - მიწასთან ურთიერთობა, მცენარეების მოვლა... წარმოიდგინეთ, კორპუსში მას რომ სხვა სართულზე ეცხოვრა, სამომავლოდ აქ ტაძარიც ხომ ვერ გაიხსნებო-

და?! მახსოვს, ერთხელ, ილია მეორემ ბრძანა: მე ყველა სახლი, რაც მქონდა, ეკლესიას გადავეციო, აქაც ტაძარი გაიხსნა. გამიგია, რომ უწმინდესის დასამიღამოებში წინათი იცნობდნენ.

ერთხელ პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს ვუსმენდი, როცა იხსენებდა: ძველ საპატრიარქოში გაჩენილი ხანძრის შემდეგ რაც ნივთები გადარჩა, პატრიარქმა წაიღო და ზღვის უბნად გადაიტანაო - პრაქტიკულად ეს ბინა საპატრიარქოს დანიშნულების მატარებელიც იყო. ამჟამად, სადაც საკურთხეველი გვაქვს, უწმინდესის ოთახი გახლდათ - ისვენებდა, წერდა, მუშაობდა, ხატავდა. როგორც აქაურები იხსენებენ, ილია მეორე ხშირად ჩვენი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრს უნახავს და ახსოვს ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეუფე, რომელიც შემდეგ პატრიარქი გახდა. აქაურ მცხოვრებლებს ახსოვთ ახალგაზრდა მეუფე მრევლს როგორ ასაჩუქრებდა, გამოჩენილი სიკეთით ექცეოდა, ტკბილულს ურიგებდა.

ამჟამად, სადაც ჩვენ ვართ, ტაძარი 2004 წელს გაიხსნა და პირველი მსახური მამა ისააკი იყო, მერე მეუფე დოსითეოზ ბოგვერაძე და უკვე 2005 წლის თებერვლიდან - მე გახლავართ... დიდი სიხარულით და მოკრძალებით უნდა გაუწყოთ, რომ უწმინდესის კურთხევით აქვე წმინდა ნიკოლოზის ტაძარი ავაგეთ. მეუფე დოსითეოზმა მამაბო - ჩვენთან პატრიარქი სტუმრად ყოფილა, წასვლისას, თურმე ხელი გაიწოდა და თქვა: „აი, აქ ტაძარი აშენდება“. წარმოიდგინეთ, მაშინ ამ ცარიელ მიწაზე არაფერი იყო. პირველად, რომ მოვედი, გაოცებული დავრჩი, მხოლოდ ნახირი დავინახე, ქალაქში ასეთი რამ არც მენახა, გზაზეც ავტომანქანები არ მოძრაობდნენ, ერთობ მივიწყებული ადგილი გახლდათ... როცა იდეა დაგვებადა, მიმდებარე



ტერიტორიაზე ტაძარი აშენებულიყო, ცოტა ზემოთ მსურდა მშენებლობის დაწყება, ადგილზე ჯვარიც აღმართეთ, მაგრამ ნაკვეთის გამოყოფის საქმეც გაჭიანურდა... სწორედ ამ დროს გამახსენდა ადრე მონათხრობი და საიტკენაც უწმინდესმა მიაწვინა, ტაძარიც ზუსტად იქ აშენდა. ღვთის მადლით აღსრულდა პატრიარქის სიტყვები. უწმინდესის ღოცვა-კურთხევით ავაშენეთ ტაძარი!“.

მამა შოთა საგულდაგულოდ მთავალიერებინებს თემქის უბნის სახელდებულ შემოგარენს. რის შემდეგაც გასაოცარი განწყობით ვტოვებ ამ დასახლების დილის შუქით განათებულ ამ წმინდა ადგილს და ჩემს ცხოვრებაში სამუდამო განძად მომყვება პატრიარქის სიყვარულით გაჯერებული იმ აურის განცდა, რაც იქ ვიხილე და დამეუფლა.

ვიქტორია ქათამაძე



სმა პრიდან

სმა პრიდან

დაუპინყარი შეხვედრები წმინდა სავანეში

მის უწმინდესობაზე საუბარს ოდნავ შორიდან დავიწყებ.

გასული საუკუნის 30-იან წლებში შალვა ნუცუბიძე თავისი ფილოსოფიური შრომების გამოსაქვეყნებლად მივლინებით გერმანიაში იმყოფებოდა. ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის შემდეგ მას არაერთი შეკითხვა დაუსვეს და, მათ შორის, ერთი ძალიან საგულისხმო კითხვა: – ვინ იყვნენ თქვენი წინაპრები. როცა გაიგეს, რომ სასულიერო პირები იყვნენ, უთხრეს, ეს თქვენს გამოსვლაში იგრძნობოდა.

შალვა ნუცუბიძის ორივე ბაბუა დედისა და მამის მხრიდან მღვდლები იყვნენ, ხოლო მის მშობლებს გამორჩეული ბიბლიური სახელები – ისააკი და რებეკა – ერქვათ. ყველაფერი ეს უთუოდ შემთხვევითი არ არის, ვინაიდან, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფოსი დემურ ჯალაღონია აღნიშნავს, შალვა ნუცუბიძის ალეთოლოგიის ფილოსოფიური მოძღვრება, სხვა არაფერია, თუ არა ქრმმარტების ძიება ღმერთისაკენ მიმავალ გზაზე.

ჩემს მშობლებს პატრიარქებთან, კალისტრატე ცინცაძესა, ეფრემ II-ესა, დავით V-ესა და ილია II-სთან, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. იმ მძიმე უღმერთო დროში ასეთი რამ ჩვეულებრივი როდი იყო. კათალიკოს-პატრიარქი ილია II ასე იგონებს მამაჩემს: „შალვა ნუცუბიძეს პირადად ვიცნობდი. ის ხშირად მოდიოდა საპატრიარქოში. კალისტრატე ცინცაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე მისი სიტყვა მოვისმინე. მან ღვთისმშობლის სადიდებელი წარმოთქვა: დიდება ჩვენს დიდ დიასახლისს, ყოვლად წმიდა მარიამსო. ეს იყო რაღაც საოცრება! ეს იყო ნიშუმი სულიერებისა, სულიერი ღვანლისა და, ამასთან ერთად, მჭევრმეტყველებისა!“

იმხანად აფხაზეთის მიტროპოლიტი ილიას არ გაუწყვეტია კავშირი ჩვენს ოჯახთან; არაერთხელ მიუწვევია დედაჩემი სოხუმში. დედა იგონებდა: დილით ლოგინის თავთან ხილით სავსე ლამაზი სინი მხვდებოდა. დაუვინყარი დღეები იყო. სათუთად ვინახავთ მის მიერ ნაჩუქარ საეკლესიო კალენდრებს, მისალოც ბარათებსა და წერილებს სოხუმიდან, მათ შორის ერთი ასეთია: „ქალბატონო ქეთევან, მივიღე თქვენი წერილი, მოხარული ვარ, რომ ჩემმა ვარდმა გაიხარა და დაამშვენა თქვენი კარ-მიდამო. ბრძანდებოდეთ კარგად. ელოცავ თქვენს

ოჯახს, სული წმინდა მოვიდეს თქვენზე და და ძალი მადლისა გფარვიდეთ თქვენ. მიტროპოლიტი ილია. 25.VII, 1973.“

1978 წლის ერთ მშვენიერ დღეს ახლად აღსაყდრებულმა პატრიარქმა დედა სიონის ეზოში მდებარე რეზიდენციაში მიიწვია. დედას ვთხოვე, მეც წავეყვანე ამ შეხვედრაზე. შემოგვეგება ახალგაზრდა პატრიარქი და სუფრასთან მიგვინვია. თავი სასურველ სტუმრად მაგრძნობინა. ამ დღის სამახსოვროდ დამრჩა განსაკუთრებული ფოტოსურათი. მეგობრები მეუბნებიან, ამ ფოტოთი ისტორიაში ხარ შესული.

იმ დროს მთავრობის თავმჯდომარე იყო საბჭოთა ხელისუფლების მოხელეთაგან სრულიად განსხვავებული პიროვნება ზურაბ პატარიძე, რომელსაც დედა ძალიან ემადლიერებოდა მამაჩემის ძეგლის დადგმის გამო. მოულოდნელად გახდა ცნობილი, რომ იგი ძალიან საეჭვო ვითარებაში, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. დედამ გადაწყვიტა პატრიარქისთვის ეთხოვა, ბატონი ზურაბისთვის პანაშვიდი გადაეხადა. კომუნისტებისთვის თავის ასარიდებლად, პატრიარქი და დედა გვიან ღამით მივიდნენ პატარიძის ოჯახში, მათთვის ეს მოულოდნელი და ძალიან ამაღელვებელი იყო.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, პატრიარქის დიდი დამსახურებაა, რომ შეძლო ეკლესიიდან სრულიად გაუცხოებული ერი კვლავ უფლის სავანეს მიბრუნებოდა.

დედა რომ გარდაიცვალა, მისი უწმინდესობა სხვა სასულიერო პირებთან ერთად თავად მობრძანდა ჩვენთან. როცა გაიგეს, ილია მეორე მობრძანდებო, დიდძალი ხალხი დაესწრო ამ პანაშვიდს.

დედა ახალი გარდაცვლილი იყო, როცა ერთ დღეს გაისმა ტელეფონის ზარი – რეკავდა სასულიერო სემინარიის დეკანი დიმიტრი ბოგვერაძე (ამჟამად მეუფე დოსითეოსი), რომელიც ადრე ჩემი სტუდენტი იყო თეატრალურ ინსტიტუტში და შემომთავაზა ლექციების წაკითხვა სემინარიაში. იმ სულიერ მდგომარეობაში, რომელშიც მე ვიყავი, ეს იყო პატარა გამოწვევა. ამ სასწავლებელში ყოფნა მახსოვებდა იმ გარემოთან, რომელიც დედას ასე უყვარდა.

ჩემი სემინარიაში მოსვლა დავმთხვავე რექტორის შეცვლას, რექტორი გახდა მისი უწმინდესობა. საშუალება გეძლეოდა გენახა ახლოს, მოგესმინა სტუდენტებთან მისი საუბარი, მიგელო მისი დალოცვა.

პატრიარქი ლექციების დაწყების წინ დილით სტუდენტებთან ერთად ლოცულობდა, საუბრებს უტარებდა და მათაც სთხოვდა, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი. ამ საუბრებს ვესწრებოდით ჩვენც – პედაგოგები. პატრიარქი უმასპინძლებოდა სტუდენტებს – მათთვის მოჰქონდათ ტკბილეულობა, ფუნთუშები.

საპროფესოროშიც არაერთხელ დაგვხვდებოდა მაგიდაზე დიდი ლანგრით საგანგებოდ შერჩეული ნუგბარი. რექტორთან კაბინეტში შეხვედრების დროსაც მაგიდას ამშვენებდა ლამაზი ტკბილეული და სასმელები.

პატრიარქი ყოველთვის შეგვახსენებდა: სტუდენტის არცერთი შეკითხვა არ დატოვოთ უპასუხოდ, მხოლოდ საგანზე არ ესაუბროთ, მიაქციეთ ყურადღება მათ საქციელს, ელაპარაკეთ ეთიკაზე, ესთეტიკაზე, ზოგად პრობლემებზე... ძალიან აქტიურად იყო ჩართული პედაგოგებთან და სტუდენტებთან ურთიერთობაში, მართავდა პირად შეხვედრებს. ერთხელ მიხმო და დამავალა, მონაწილეობა მიმელო ეკლესიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმების მოძებნაში: – მოიფიქრეთ, როგორ და მოგახსენეთ. დავალება შევასრულე და „დაბეჭდილი აზრებით“ მივედი.

მთხოვა, ხმამაღლა წამეკითხა. შევატყვე მოსწონდა. როცა დავამთავრე, შემაქო – მშობლების გენები თავს იჩენსო. ალტაცებული წამოვედი.

კიდევ ერთი განსაკუთრებული შეხვედრა იყო პედაგოგთა, რომელიც მის დიდ რეზიდენციაში გაიმართა. დაგვლოცა, შემდეგ ხაზი გაუსვა მეცნიერების მნიშვნელობას, ზოგად განათლებას, მომავალ სასულიერო პირთა იტელექტუალური დონის ამაღლებისთვის ზრუნვას. საუბარმა ორ საათს გასტანა. ის იყო, წასვლა დავაპირეთ, რომ გაგვაჩერა და ღიმილით გვითხრა: ხელები დაიბანეთ, ერთად ვისადილოთო. სასადილო ოთახში სამი გრძელი მაგიდა ლამაზად იყო გაშლილი – ნატიფი ჭურჭელი, ყვავილები... დაილია სადღეგრძელოები – დედა ეკლესიის, პატრიარქის, დედა სამშობლოსი... შემდეგ უწმინდესი ისევ მეცნიერებზე საუბარს მიუბრუნდა: არ უნდა დავივინყოთ მათი ღვანლიო და ჩემთვის მოულოდნელად ახსენა შალვა ნუცუბიძე და ჩემსკენ მობრუნდა ამ სიტყვებით: „არასოდეს დამავინყებდა მასთან შეხვედრა საპატრიარქოში, ეფრემ მეორესთან საზეიმო ბანკეტზე, მან იქ ღვთისმშობლის სადიდებელი შესვა. არც მანამდე და არც მერე ასეთი მჭევრმეტყველება არ მომისმენია“. შეკითხვით მომმართა – ნეტავ როგორ გადაურჩა დევნას, როგორ ფიქრობთ, რამ გადაარჩინაო. მამა გიორგი ზვიადაძემ მანიშნა – ადექით და უპასუხეთო. მაღლობა მოვახსენე მამის ხსოვნისათვის, რომელმაც მთელი ცხოვრება ბრძოლით გამოიარა და მის შემწედ მეცნიერების გზაზე ქრმმარტების ძიება იყო. ხშირად იტყოდა – სიკვდილს რუსთაველმა გადამარჩინაო. ყველაფერ ამაში კი ალბათ ღმერთი

იყო მშველელი. დავჯექი. პატრიარქი კი განაგრძობდა: „მე ქალბატონ ქეთევანს კარგად ვიცნობდი, დიდი მშრომელი იყო. თქვენთან ბაღშიც ვარ ნამყოფი...“. ყველა მე და პატრიარქს გვიყურებდა. ადვილად წარმოსადგენია ჩემი აღელვება და სიხარული.

იქვე იყო პიანისტი, რომელიც პატრიარქის თხოვნით უკრავდა კლასი-



კურ ჰანგებს. წინ კიდევ გველოდა სიურპრიზი: – მისმა უწმინდესობამ ყველას საჩუქრები დაგვირიგა – მაჯის საათები (ალბათ დროის დაფასება რომ ვისწავლოთ).

ღირსსახსოვარი შეხვედრები გრძელდებოდა. ერთ დღეს სამნი, მე, ბატონი გრიგორ ფარულავა და ბატონი სერგო ვარდოსანიძე მიგვინვია სიონის ეზოში მდებარე რეზიდენციაში. ხატებთან ნაკურთხი წყალი იყო, დამიძახა და შემასხურა. მაგიდას რომ შემოვუსხედით, მისმა უწმინდესობამ გვითხრა, რომ მუშაობს საშობაო ეპისტოლეზე და ჩვენგანაც სურს, მოისმინოს „ბრძნული აზრები“. სწორედ ასე განაცხადა. რამდენად ბრძნული იყო ჩვენი აზრები, ძნელი სათქმელია, თუმცა გულდასმით გვისმენდა და იწერდა ჩვენს ნათქვამს. გაგვიმასპინძლდნენ კიდევ – როგორც ყოველთვის, ლამაზი ჭურჭლის, ვერცხლის დანა-ჩანგლის, ბროლის სასმისების თანხლებით. შემდეგ შესვენება გამოცხადდა და აივანზე გასვლა შემოგვთავაზა. მე პატრიარქთან ახლოს დავჯექი. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ – პატრიარქ ლეონიდეს სიკვდილზე, კორნელი კეკელიძეზე, უწმინდესის ბავშვობაზე და პროფესიის არჩევაზე, ჩემი მშობლები მოიგონა – მითხრა, ხშირად ვიგონებ ქეთევანს და შალვასო... დიდი სითბოთი ილაპარაკა კალისტრატეზე. ოთახშიც მხოლოდ კალისტრატე ცინცაძის პორტრეტი ეკიდა.

მე ფოტოაპარატი მქონდა და ვთხოვე, მასთან ერთად სურათები გადაგვეღო. გაელიმა და ნება დაგვრთო. ასე დამრჩა ახალი ფოტოები სწორედ იმ ოთახში და იმ მოხატულ კედელთან, სადაც გადავიღეთ ფოტო 40-ზე მეტი წლის წინათ.

ცხოვრება გრძელდება, შეხვედრები – აღარ, მაგრამ დაუვინყარი, განუმეორებელი მოგონებები დარჩა ნათელი მომავლის იმედად.





ადამიანი-სიმბოლო

შენ წინაა კანო, უნაღველო ქრისტიანი
საყვარო, უნაა გვარამო და სწორი გზით უნაა
გვარამო...
პრის გვარამო,
ხის და მიწის სათნო ხილი ხარ,
და უფლის სიბრძნით აუოპიონა კანთა
სიბრძნის,
ამ ზარს,
ღვრა-ზარს, უნააპით, ვითი, პილიონარ,
გაუ,
სხეულა...
სხეულა...
პრისხეულა...
და გვარამო...

ეს სიტყვები ილია II-ს გამოჩენილმა პოეტმა შოთა ნიშნაიძემ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ უძღვნა.

უძველესი დროიდან მოყოლებული ბრძენ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ადამიანი მაშინ აღწევს ჭეშმარიტ დიდებას, როდესაც თვითონ, მთელი თავისი არსით, ცხოვრებითა და მოღვაწეობით სიმბოლოდ იქცევა. მისი უწმიდესობა ჯერ კიდევ მრავალი წლის წინათ დიდებულ სიმბოლოდ იქცა მთელი ერისათვის და განვლილი წლები მხოლოდ განამტკიცებს და აძლიერებს ამ სიმბოლოს მნიშვნელობას.

ჯერ კიდევ ილია II-ის აღსაყდრებამდე, ანუ 1977 წლის 25 დეკემბრამდე (მაშინ 25 წლისა გახლდით) უფროსი თაობის ცნობილი წარმომადგენლებისაგან მსმენია მის მოღვაწეობაზე აფხაზეთში, სადაც ილია II-მ 11 წელი დაჰყო მიტროპოლიტის ხარისხში. მასხოვს ამ ადამიანების სიხარული და იმედები, მისი უწმიდესობის აღსაყდრების შემდეგ. სულ მალე კი საოცარი პროცესები დაიწყო: კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებების მოსასმენად მრავალი ისეთი ადამიანი მიდიოდა, რომელიც მანამდე წელიწადში ერთი-ორჯერ თუ

შევიდოდა ეკლესიაში. უწმიდესის ქადაგებები ნუგეშის და იმედების წყაროდ იქცა იმ კომუნისტურ ეპოქაში.

განსაკუთრებული როლი შეასრულა ილია II-მ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების დროს. აქ არ შევუდგები ამ მოვლენების ჩამოთვლას. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ილია II-მ არ დაუშვა საქართველოს ეკლესიის გახლეჩა, ანუ სქიზმა, რაც ბევრს იმხანად გარდაუვლად მიაჩნდა და, მისი წინამძღოლობით, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ომამდე მისული დაპირისპირების დაძლევაში. ილია II-მ ასევე აღკვეთა მავანი „პოლიტიკოსების“ მხრიდან ეკლესიის პოლიტიზირების არაერთი მცდელობა. არადა, ეს რომ მომხდარიყო, საქართველო სახელმწიფოდ ვერ შედგებოდა.

უწმიდესმა მრავალი ადამიანი ანუგეშა ცხინვალის რეგიონში დატრიალებული ტრაგედიის და სოხუმის დაცემის შემდეგ. მისი ურყევი რწმენა, რომ საქართველო გამთლიანდება, რომ ეს მოხდება მშვიდობიანი გზით, რომ დადგება დრო და ისევ ერთიან სახელმწიფოში ვიცხოვრებთ ჩვენს აფხაზეთთან და ოსებთან ერთად, ბევრ ადამიანს გადაეცა.

„ეს ომი არ უნდა მომხდარიყო. ეს შეიძლებოდა არ მომხდარიყო. ჩვენ გვექონდა იმის საშუალება, რომ აგვერიდებინა თავი ამ მოვლენებისათვის. გემი როცა მიდის ზღვაში, კაპიტანმა უნდა იცოდეს, სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს. ჩვენ

გვხვდებოდა და გვხვდება კედელი და თავით ვეხეთქებით ამ კედელს“. ეს სიტყვები ილია II-მ 2009 წლის სექტემბერში წარმოთქვა, ქართველ პედაგოგთა შეკითხვის პასუხად. 2008 წლის აგვისტოს დღეებში კი, როდესაც მაშინდელი რეჟიმის ბევრი წარმომადგენელი გაიქცა, უწმიდესის დავალებით და ლოცვა-კურთხევით ქართველი მღვდელმსახურები დარჩნენ ყველგან, სადაც კი შემოვიდნენ რუსი ჯარისკაცები და გადამთიელი ბოეიკები. მღვდელმსახურებს მოუწიათ მოლაპარაკებების გამართვა საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლებთან და მათ შეძლეს ტყვედ წაყვანილი მრავალი ადამიანის გათავისუფლება. იყო შემთხვევები, როცა გატაცებული საქონელიც დააბრუნებინეს მტრად შემოსულ ჯარს. დაღუპულთა ცხედრების გადმოსვენება კი ილია II-ის პირადი ჩარევის შემდეგ მოხერხდა და მთელმა მსოფლიომ იხილა, როგორ

უარყოფა. მაგრამ ქრისტიანობის შემსწავლელი მეცნიერები თანმხედებიან, რომ ღმერთის ხსენებისას მორწმუნენი ახდენენ იმ ტრადიციული მორალური ნორმების და ფასეულობების პერსონიფიცირებას, რომლებიც საზოგადოების ერთიანობას და სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს. სიმბოლოდ ქცეული კათოლიკოს-პატრიარქის ყველა მოქმედება: მისი ქადაგებები, ეპისტოლეები, სხვა საჯარო გამოსვლები, კონკრეტული საქმეები, სწორედ ჩვენი ერის ერთიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებას ემსახურება. საქართველოში შექმნილ მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაზე ბევრი ითქვა და დაინერა, მათ შორის ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში. დღეს უცხოელი მეცნიერები აღიარებენ, რომ უწმიდესის ავტორიტეტმა და დაუღალავმა ძალისხმევამ (მზაობამ პირადად მონათლოს ყოველი მესამე შვილი ოჯახში) საგრძნობი და უპრეცედენტო შედეგი გამოიღო.

მონმე ვარ იმი-სა, თუ როგორი დადებითი შედეგი მოიტანა უწმინდესის მიერ საგვარეულოების წარმომადგენლების შეკრებამ და მათთან პირადად შეხვედრებმა, ასევე უწმინდესის ინი-

სიმბოლოდ ქცეული ყათოლიკოს-პატრიარქის ყველა მოქმედება: მისი ქადაგებები, ეპისტოლეები, სხვა საჯარო გამოსვლები, კონკრეტული საქმეები, სწორედ ჩვენი ერის ერთიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებას ემსახურება.

დაიწოქა რუსმა გენერალმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინაშე.

2008 წლის 25 სექტემბერს, მარტვილში გამართულ ჭყონდიდობის ზეიმზე, საშუალება მომეცა მიმემართა მისი უწმიდესობისათვის და მეთქვა, რომ მას და მისი წინამძღოლობით საქართველოს ეკლესიას უწევდა ხელისუფლების ტრაგიკული შეცდომების გამოსწორება.

მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები აღარ დავობენ იმაზე, რომ მეცნიერული მეთოდებით შეუძლებელია ღმერთის არსებობის დამტკიცება ან

ციატივით განხორციელებულმა საგანმანათლებლო პროგრამებმა.

„ღმერთმა მოგვცეს ძალა და სიბრძნე, რომ ასეთი უაზრო ომები არ იყოს“ – თქვა უწმინდესმა 2010 წლის 8 აგვისტოს, 2008 წლის ომის ორი წლის თავზე. ბედნიერი ვარ, რომ ეს ძალა და სიბრძნე გამოჩნდა, საქართველოს საერო ხელისუფლება არ წამოეგო არც ერთ პროვოკაციას და წაქეზებას და ქვეყანაში მშვიდობა სუფევს. ამაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უზარმაზარი წვლილი აქვს შეტანილი.

პეტრა მამრაძე

სწორუპოვარი მოქალაქე

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთის რედაქციის მიერ გამოცემულ წიგნში - „ჯვარისმკვითველი ქართველი ერის“ – დაბეჭდილმა წერილებმა აღმოძრა ნადილი პატრიარქისადმი ჩემი მოკრძალებული სიყვარულისა და თაყვანისცემის თაობაზე მოვუთხრო მკითხველებს, რადგან, გაზეთის რუბრიკაში – „ხმა ერიდან“ სწორედ ესაა გათვალისწინებული.

დავიბადე და გავიზარდე თბილისის ვერის უბანში, სახელგანთქმულ სარაჯიშვილელთა ტრადიციულ ოჯახში, მშობლების წყალობით პატარაობიდანვე მორწმუნე ვარ და როცა აკრძალული იყო ეკლესიის სიახლოვეს მისვლა, კი და ღმერთის რწმენა, რუსულ ეკლესიად სახელდებულ ტაძარში ჩემად დავედიოდი და ვესწრებოდი ტაბუდადებულ ღვთისმსახურებას. სწორედ

იმ პერიოდში რეჟისორებმა ზაქარია გუდავაძემ და შალვა მარტაშვილმა გადამიღეს ფილმში და დანათლული სახელის სინონიმი გახდა მანანა, ცელქი, მოუსვენარი და ჭკვიანი ბავშვის სახელი.

სკოლის შემდგომ, ინსტიტუტში რომ არ შეეტყოთ ჩემი რწმენის შესახებ, ყოველწლიურად „ვინილბეზი“.

დროთა ვითარებაში ყოველივე შეიცვალა, რაც უკავშირდება ჩვენი პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის მოღვაწეობას. და მისი აღსაყდრების შემდგომ სიონის ტაძარში მრევლის წევრთა შორის მდგომს სურვილი მქონდა ახლოს მივსულიყავი - მივახლოვებოდი უწმინდესს.

და ეს ნადილი აღსრულდა, სამწუხაროდ, უბედური შემთხვევის გამო. როცა კინორეჟისორ ელდარ შენგელა-

იას ავარიში ახალგაზრდა ქალიშვილი დაეღუპა.

ბატონ ელდარს მამა გიორგი ზვიადაძემ გადასცა პატრიარქის სურვილი, რომ გარდაცვლილის მშობლებს თავისთან უხმობს. ელდარის მეუღლემ, ჩემმა მეგობარმა, შემომთავაზა, თან ვზღებოდი მათ.

საპატრიარქოში უწმინდესსა და უნეტარესთან ჩვენ შეხვედრას ესწრებოდა მამა შალვა კეკელია.

უწმინდესმა ცოლ-ქმარს აუხსნა და დაარიგა თუ რა უნდა გაეკეთებინა გარდაცვლილი შვილის სულის საოხად, მისი ყოველი შეგონება საოცარი იყო და ამის შემდეგ, ელდარ შენგელაია და მისი მეუღლე, სრულიად შეიცვალნენ - ღრმად ეკლესიურები გახდნენ.

პატრიარქთან ყოფნის საოცარმა აურამ ბედნიერი გამხადა. გაფართოებული თვალებით ვუყურებდი ჩვენს სწორუპოვარ მოძღვარს.

ბოლოს ჩემსკენ მოტრიალდა და რბილი, თბილი კილოთი (ყველასგან რომ გამოარჩევს) მითხრა - „ყოვე-

ელთვის თვალყურს გადევნებთ, ვიცი როგორ მოღვაწეობთ, ისიც ვიცი, დაოჯახებული არ ხართ და დის შვილი გაზარდეთ, ალბათ უკვე შვილიშვილებიც გყავთ. ფილმებში გიყურებთ და ძალიან მიხარია. მე თქვენს სპექტაკლსაც დავესწარი – „შუმანიკს“ და ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

სწორედ რეჟისორ ნანა ხატისკაცის დადგმული სპექტაკლის დასრულების შემდეგ, პატრიარქის სურვილით მთელმა დასმა მასთან გადავიღეთ სურათი, რომელიც საამაყო რელიქვიად რჩება არა მარტო ჩვენთვის...

შეხვედრის დასასრულს, პატრიარქმა ბატონ ელდარს მიმართა: გირჩევთ, უპატრონო ბავშვთა სახლებსა და ინტერნეტებში გასაცემელი გასცეთ, შეხვდით პატარებს, დაეხმარეთ მათ, აგრძნობინეთ მშობლიური მზრუნველობა, ეს შევბას მოგცემთ და თქვენი შვილის სულიც გაიხარებს.



კურსდამთავრებულთა კვლდკვალ

შართო ასპარეზი –
მაღლით სასულიერო
აკადემიისათამურ სამხარაძე – ფსიქოლოგი,
ფსიქოკონსულტანტი,
ტრენერი, მენტალური ჯანმრთელობის
სპეციალისტი

„იფიქრეთ და ისაუბრეთ იმაზე, რაც გინდათ თქვენს ცხოვრებაში რომ მოხდეს და არა იმაზე, რაც არ გსურთ! გახსოვდეთ, თქვენი ფიქრები და სიტყვები, თქვენს ქმედებებთან ერთად, აშენებენ თქვენს მომავალს!

ჩვენთვის წარმატება ხუთ რამეს მოაქვს: შეუპოვრობას, ნიჭს, განწყობას, ნებისყოფასა და შრომას.

„თუ შეშას თვითონ დაჩეხავ, ორჯერ გათბები“ (პ. ფორდი) - დარწმუნებული ვარ, შენ, ვინც ახლა ამას კითხულობ, მიხვდი და გაიაზრე, რატომაა საუბარი ორჯერ გათბობაზე! და საიდან მოდის ეს ორჯერ გათბობა! ჩემი აზრით კი ასეა: პირველად მაშინ ვთბებით, როდესაც იდეა იბადება ჩვენში, მეორედ კი ვთბებით მაშინ, როცა ჩვენი იდეა უკვე ხორცშესხმულია! მსგავსად შეშისა, რომელიც სითბოს მეორედ მაშინ გვაძლევს, როცა ვანთებით!

ნიჭი ღმერთმა მოგვცა, დანარჩენი ოთხი - განწყობა, ნებისყოფა, შრომა და შეუპოვრობა - ჩვენზეა დამოკიდებული. ერთი ფრაზა მაგონდება - ადამიანი შეშას რომ დააპობს, ორჯერ გათბებაო

ადამიანებთან შეხვედრებისას, თითოეულ ჩემ ნათქვამ სიტყვაზე, მოთხრობილ ისტორიაზე, გაზიარებულ ემოციასა თუ გამოცდილებაზე, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ! ხან რამდენიმე საათი ვზივარ და ვმუშაობ, ხან მთელი დღე, რომ ყოველი შეხვედრისას ეს ოთხივე პირობა წარმოჩნდეს და შედეგი გამოჩნდეს!

ამ სტრიქონების ავტორი, თემურ სამხარაძე ჯერ მხოლოდ 27 წლისაა! რამდენიმე წუთია ვუსმენ და ახლობელი, შინაური, თავისთავად გახდა! მოსმენის სურვილი ბუნებრივად გაჩნდა... არადა, ამბობს: „ - შევიცვალე, ახლა ისე აღარ მსურს ახალი ადამიანების გაცნობა, როგორც ადრეო... ზოგიერთ ძველ ნაცნობსაც ველარ ვენდობი... დრომ მიმახვედრა, პროფესიამაც, ყველა არ იმსახურებს ნდობას! გავიზარდე, ახლა ადამიანებში უკეთ ვერკვევი, ვიდრე უწინ. ვხვდები, ვინ არის ნამდვილი, უბრალო და წრფელი, ადრე მეგონა, ვინც გამილიმებდა, ყველა ჩემიანი იყო, უწინ ყველა ღიმილის სინრფელე მწამდა, ახლა აღარ... ვისწავლე ადამიანების ყურადღებით მოსმენა, მათი სიტყვების გარჩევა და მათთვის ზღვარის დაწესება. თურმე ყველაფერში საჭიროა, დაანესო ზღვარი, ასე ურთიერთობასაც იცავ და საკუთარ თავსაც“.

მიხარია, რომ გულწრფელად მესაუბრება!

- იყო „შენ“ ძალიან რთულია, მაგრამ ძალიან საჭირო. რაც დრო გადის მით მეტად ვხვდები, რომ ყველა ადამიანი ცდილობს, შენზე თავისი გავლენა გაავრცელოს. ცდილობს ხელი ჩაგჭიდოს და იქით მიგაბრუნოს, საითაც მას მართებული ჰგონია, იქით, საიდანაც მისი მზე ჩანს! აქ კიდევ ერთხელ უნდა დავწერო „მაგრამ“ - მესმის და ვიაზრებ, რომ ადამიანის მზე ერთია - მაგრამ ხშირად ჩვენს განცდებში ჩვენს მზეს სხვადასხვა ადგილას ვაწყდებით.

ხშირად ვამბობ „რომ სამყარო ყოველთვის პასუხობს მოქმედებას (და ჩემთვის სამყარო მზრუნველი ღმერთია), ჩვენს მოქმედებასაც პასუხობს და ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანები-სასაც. ზუსტად პასუხობს! რა განზრახვაც გვაქვს გულში, ჩვენი სამყარო ყოველთვის იქით მიგვაქანებს. მიხდა, გულში, ყოველთვის სინათლე გქონდეთ, რადგან ვიცი სიბნელის არსებობას და მისგან გათავისუფლებას რამხელა ძალა და დრო სჭირდება!

მიხდა ისეთი ადამიანების გვერდით ყოფნა გისურვთ, ვისაც უპირობო სიყვარული აქვთ თქვენი და არა ისეთების, საჭიროების გამო რომ უყვარხართ! მიხდა სულიერი სიმტკიცე და სიძლიერე გისურვთ ამ ქვეყანაზე! იოცნებეთ უკეთესზე, რომ უკეთესი მოვიდეს! იოცნებეთ საუკეთესოზე, რომ უკეთესი ჩანაცვლოთ...

არ შეწყვიტოთ მოძრაობა და იმედი ხვალინდელი უკეთესი დღის - რომელიც დღეს იქმნება!

უცნაური პარადოქსია, მაგრამ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია შევიცვალოთ, როდესაც საკუთარ თავს ისეთად მივიღებთ, როგორებიც ვართ.

ადამიანები მზის ჩასვლას გვანან. როდესაც მზის ჩასვლას ვუყურებ, არ მომდის აზრად, ვთქვა: მოდი, მარჯვნივ ცოტა წარინჯისფერს დაუწიე, აქ კი ნითელი მოუმატე.

მე არ ვცდილობ ვაკონტროლო მზის ჩასვლა. მე მას აღტაცებული ვუყურებ, როგორ იშლება და იფურქნება ის სხვადასხვა ფერებში.

მე კარგი ვარ ისეთი, როგორიც ვარ! მთავარია, მივცე საკუთარ თავს საშუალება, ღიად გამოვხატო ეს.

„მე ვისწავლე, რომ ჩემი ორგანიზმის - გულის, შინაგანი ხმის, ინტუიციის შეგრძნება უფრო სანდოა, ვიდრე ჩემი ინტელექტი“ (ამერიკელი ფსიქოთერაპევტი კარლ როჯერსი).

ნუ შეიტანთ ეჭვს თქვენს ფიქრებში, იყავით თავდაჯერებული და თვითრწმენის ძალით სავსე. როგორც კი ეჭვის თვალით დაინყებთ ამა თუ იმ მიზნის და უნარის განვითარებას, სანყისშივე

წარუმატებელია და დროს ნუ დაკარგავთ.

მ ი ე ნ დ ე თ ღმერთს საკუთარ თავში. როგორ ვამბობთ ხოლმე? „იყავნ ნება შენი უფალო“ და თუ უფლის ნება იქნება ჩვენზე, მეექვსება, რამე ცუდი შეგვემთხვევს, ან ის - რაც ჩვენთვის სასარგებლო არ იქნება.

აღმოაჩინეთ რწმენის ნაპერწკალი თქვენში, რომელიც რეალობაში ერთი

შეხედვით წარმოუდგენელ ოცნებებსაც კი რეალობად აქცევს.

ნუ აუფასურებთ საკუთარ მიღწევებს,

ნუ აკნინებთ საკუთარ ნიჭს, შესაძლებლობებს და უნარ-ჩვევებს,

ნუ აქცევთ ნანგრევებად საკუთარ გამოცდილებას და დაგროვილ ცოდნას,

ნუ ცდილობთ სხვის იდეალიზებას, ნუ აქცევთ ცხოვრების წესად თვითგვემას.

მთავარია, დროული და სწორი რეაგირება არსებულ პრობლემაზე.

ხომ მიცნობთ, უკანასკნელ მზის სხივსაც კი ჩავეჭიდები მანამ, სანამ უკეთესად ყოფნის იმედი მაქვს... ყველა ჩემი წარმატების, წინსვლის, გამარჯვების უკან ჩემი სულის სიმტკიცით ხშირად დასაბიჯრებული, გატეხილი გული დგას... შეიძლება ვთქვა, რომ რთულია იყო „მე“, იმიტომ რომ ყველა ჩემი ღიმილი, კარგი განწყობა, პოზიტივი თუ უბრალოდ ქარიზმა, ძალიან სუსტ და ძლიერ პიროვნებასაც მალავს, რომელიც იღლება, არაფერს იმჩნევს და განაგრძნობს სვლას...

განსაცდელის დროს ჩვენს ცხოვრებაში განგამის ზარები რეკავს, და რა არის ყველა განსაცდელი ჩვენთვის, თუ არა სტრესი, სტრესი რომელიც ერთიანად აისახება ხოლმე მთელ ჩვენს ცხოვრებაზე და ყველა სფეროზე: განწყობაზე, ხასიათზე, სხვებთან

ჩვენს დამოკიდებულებაზე, დედის და მამის მიმართ განწყობაზე, მეუღლისა და შვილების მიმართ დამოკიდებულებაზე, სტრესი გვთიშავს აწმყოდან და ქვეითდება ჩვენი ცხოვრების კმაყოფილების ხარისხი. ბევრი გამოსავალი არსებობს, ცოდნაც დაგროვდება ფსიქოლოგიაში და წმინდა წერილი ხომ უხვად გვთავაზობს გამოსავალს და გამამხნეველ ციტატებს აი ერთ-ერთი ჩემთვის შთამაგონებელი ფრაზა!

„განსაცდელი თქუენ არა შეგემთხვა, გარნა კაცობრივ; ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქუენ განცდად უფროაის ძალისა თქუენისა, არამედ ყოს განსაცდელისა თანა გამოყვანებაიცა, რაითა შეუძლოთ დათმენად.“ (1კორ. 10:13) - აბა წაიკითეთ, რას ამოიკითხავთ და რა გააზრება მოვა თქვენთან...

ვუსმენ თემურს და მისი განვლილი ცხოვრება როგორ ლამაზად წარმოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ მამა, აფხაზეთის ომის მონაწილე, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ვეღარ ახერხებს ოჯახის რჩენას და დედა იძულებული ხდება ემიგრანტის მძიმე ჯვარი იტვირტოს. თემური მამასთან და ბებიასთან იზრდებოდა, თავისზე 14 წლით უმცროს დასაც ერთად უვლიან.

გიხარია, რომ ისმენ: ჯერ კიდევ გორის მეათე საჯარო სკოლის მოსწავლე იყო, გაზეთი „წირაღდან“ რომ დააარსა თანასკოლელებთან ერთად და წლების მანძილზე არ შეუწყვეტია ამ გაზეთს არსებობა. შემდეგ გორის რეგიონალურ ტელეკომპანია „თრიალეთში“ საყმაწვილო სტუდიაში გადაცემა „ნაპერწკალი“ დაიბადა, მას რადიო „თრიალეთში“ ქართული მუსიკალური გადაცემები მოჰყვა. მოსწავლეობის დროს გორის რაიონის სოფელ კარალეთის ყოვლადწმიდა სამების სახელობის ეკლესიაში, სულიერი მოძღვარი დეკანოზი ღვთისო სენიაშვილი ჰყავდა და სტიქაროსნად მსახურობდა.

სკოლის წლებს უკავშირდება საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტი - ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში და თემური გორის ახალგაზრდული ცენტრის ლიდერი ხდება. გორისა და კასპის რაიონში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსახლეობას სოფელ ფერმაში და სოფელ თედონმინდაში, ამ პროექტის





► **გეგმიური გვერდი**

ფარგლებში, ქართულ ენას, ქართულ ტრადიციებს აცნობენ, არაქართულ მოსახლეობას ქართულ ცეკვებსაც ასწავლიან, გასვლითი პროგრამებიც ჰქონდათ – ზუგდიდის, ქუთაისის, თელავის, ბათუმის, თბილისის ახალგაზრდულ ცენტრებთან. ასოციაციის ახალგაზრდულმა ცენტრმა თემურს, საქართველოს მასშტაბით პირველს, მიანიჭა ტრენერის უფლება – თანატოლ-განმანათლებლის სერთიფიკატი გადაეცა. როგორც ყველაზე აქტიურმა, საჩუქარიც მიიღო...

სკოლის დამთავრების შემდეგ სასულიერო აკადემიასა და სემინარი-ში სწავლის გაგრძელება მის სულიერ მოძღვარს და სქემონაზონ ქეთევან ჩუხრუკიძეს უკავშირდება, დედა ქეთევანი ოჯახის ახლობელია და ყოველთვის ზრუნავს მათზე.

თემურის ცხოვრებაში გამორჩეული პერიოდია თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიასთან არსებულ საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის წლები.

„განსხვავებული ღირებულებების, განსხვავებული დამოკიდებულების, შეხედულებების სტუდენტები ვიყავით, მაგრამ თანაგვფუფელთა აზრთა სხვადასხვაობა ცხადია, რელიგიურ თემებს არ ეხებოდა, რელიგიურ საკითხებში ერთნაირი ხედვა გვქონ-

და. რწმენაში, სიყვარულში ერთობით ვიყავით და იყო კონკურენციაც, რაც მისაღებია, რადგან ჯანსაღი კონკურენცია, სიჯანსაღეს, განვითარებას ბადებს.

დღემდე მაქვს ურთიერთობა ჩვენს ლექტორებთან, ქალბატონმა ნანა გოგიჩაშვილმა, რომელსაც ძალიან მზრუნველი დამოკიდებულება აქვს ფსიქოლოგიით დაინტერესებული სტუდენტებისადმი და ქალბატონმა ნათია ფრუიძემ შეგვასწავლა სხვადასხვა ტექნიკებით და გამოკითხვებით, რომ მის ყოფილ სტუდენტებს მუშაობა დაგვეწყო და გამოგვეყენებინა მათ მიერ მოწოდებული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. ფსიქომეტრული ტესტები რომ გვასწავლა, ქალბატონმა ნათიამ იქვე, სასწავლებელში, ნაცნობ სტუდენტებთან ვცდილობდით ფსიქომეტრული ტესტების გამოყენებას, რადგან პრაქტიკის გარეშე მისი განხორციელება ჭირს...

საღვთისმეტყველო ინსტიტუტში სწავლისას თბილისის 155-ე საბავშვო ბაღში გავდიოდი პრაქტიკას. ბაღის აღსაზრდელთა მშობლებმა როცა გაიგეს საიდანაც ვიყავი მივიღინებულნი, გაუხარდათ, რადგან კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩვენი სასწავლებლისადმი და ჩემდამიც უპირობო ნდობა გამოამჟღავნეს. დღემდე სტიმულს მაძლევს, იმ საბავშვო ბაღიდან ნამოღებული რეკომენდაცია. ერთხელ კაცუნების გაფერადება ვთხოვე ბავშ-

ვებს, საერთოდ პასუხისმგებლობით ასრულებდნენ ხოლმე დავალებებს, მაგრამ იმ შემთხვევაში ერთმა ბავშვმა ძალიან მოინდომა, ლამაზი ფერებით გააფერადა, საკუთური ფანტაზიაც ჩართო, ახალი დეტალები შეიტანა დავალებაში და, როგორც ჩანს, დედაც მიიხმარა – ნახატს წარწერა დაურთო – მე ბედნიერი ვარ! მაღლობა!“

სასულიერო სასწავლებლის შემდეგ თემურმა სწავლა განაგრძო ინტეგრირებული თერაპიისა და მენტალური ჯანმრთელობის ინსტიტუტში, შემდეგ მაკვალიფიცირებელი ერთწლიანი ფსიქოკონსულტირების კურსი გაიარა, ამჟამად საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში სწავლობს მაგისტრატურაში კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებაზე, გაიარა არტთერაპიის არაერთი კურსი, ევროპის ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამა ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის მიმართულებით. პარალელურად ქალაქ გორის წითელი ჯვრის მოხალისე ფსიქოლოგია და შესაბამის მომსახურებას უწევს ბენეფიციარებს.

ცოტა ხნის წინათ, თემური ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის წევრი გახდა. ეს ორგანიზაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტულია და ფსიქოლოგიის მიმართულებით თავის ხმამაღალ სიტყვას ამბობს. ფსიქოლოგებისთვის უწყვეტი განათლების პროგრამაა, რომელიც მუდმივ

განათლებას და ახალი კვლევების გაცნობას მოიცავს.

და ყველაზე მთავარი – თემურს ჰყავს მეუღლე – ეკატერინე მანაგაძე და შვილები – 2 წლის ხატია და – 7 თვის თათია.

თემური რომ გულისხმიერი მამაა, ეს სიტყვებიც დაგვიმონმებს: „შვილო – ამაზე თბილი სიტყვა ხომ არ არსებობს ამ ქვეყანაზე... შენ ხარ ჩემი გული და მაჯისცემა... მინდა, რომ არასოდეს განზილდე, არასოდეს შეგცივდეს... ყოველთვის გჯეროდეს ლოცვისა და სიკეთის ძალის... გჯეროდეს სასწავლების და როცა, ვინძლო, რამემ შეგაშფოთოს, როცა, ვინძლო, ზამთარში თითები გაგიცივდეს... როცა, ვინძლო, რაიმე დაგჭირდეს, მინდა იცოდეს, რომ შემოიღია ჩემი სული შენს პანანა მხრებს მოვახურო... მიყვარხარ...“

სიყვარულით მამიკო!“

უსმენ თემურს და სიკეთისთვის, სიხარულისთვის განწყობი, ენერგიასაც იგრძნობ, რომ ახლებურად შეხედო ცხოვრებას... რამეთუ კვლავაც შემოგვაშველებს საგულისხმო რჩევას: „მომავალი წარსულს ჰგავს, მაგრამ მათ შორის ერთი მთავარი განსხვავებაა. წარსულს ველარ შეცვლით, აი, მომავალი კი შეიძლება უკეთესი გახადოთ, რასაც ყოველდღიურად, თუნდაც მინიმალური ძალისხმევის ხარჯზე მიაღწევთ.“

სალომე გოგინაშვილი

► **გეგმიური გვერდი**

სწორი პოპულარიზაცია

ჩვენც დავიწყეთ თბილისსა და რაიონებში უდემდამო ბავშვებთან და შეჭირვებული ოჯახების შვილებთან საჩუქრებითა და მოსაკითხებით შეხვედრები...

ამან მშვიდი სულიერი მდგომარეობა დაუბრუნა შვილდაკარგულ ცოლქმარს.

აქვე უნდა გავიხსენო ჩემი მეგობრის, გოგი ხარაბაძის თავს დამტყდარი უბედურებაც, როდესაც მასაც შვილი დაეღუპა და მძიმე დეპრესიაში იყო, მხარში დაუდგნენ სასულიერო პირები, პირველყოვლისა დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, დაავადებულია, ხშირად წვეოდა საპატრიარქოში. მისი ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლის ნიშნები თუნდაც ერის სულიერ საგანძურად მიჩნეული ბიბლიის ხარაბაძისეული ჩანაწერი – გახმოვანება, რომელიც აღასრულა



უწმინდესის დამოძღვრებით და მასთან ურთიერთობით.

პატრიარქთან ჩვენი შეხვედრის დასასრულს კეთილმა მასპინძელმა გვითხრა: ახლა ჩემი კუთხის საჭმელები უნდა გაგასინჯოთო და სხვა კერძებთან ერთად შემოგვთავაზა ჭინ-

ჭრის სუპი. არ ვამეტებ, ასეთი გემრიელი არასოდეს არაფერი მიჭამია.

მაშინ შევბედე და ვუთხარი: საქართველოს გასაოცარი მხარიდან ბრძანდებით, გოდერძი ჩოხელმა ფილმი სწორედ თქვენს მშობლიურ სოფელ სნოში გადაიღო და შემთხვევით არ

აურჩევია ეს ადგილი მეთქი.

პატრიარქმა თავისი განსაკუთრებული ღიმილნარევი იუმორით დამიდასტურა: – გოდერძისნაირ ნიჭიერ კაცს ადგილის შერჩევა არ შეეშლება.

რაც მოგიტხრეთ, ერთი კერძო შემთხვევაა. რაც ქრისტესმიერ მსახურებას ენევა რამდენი ასეთი კერძო შემთხვევებითაა დატვირთული ჩვენი უწმიდესი პატრიარქის მოღვაწეობა

ხმამაღლა ვამბობ – მან თავისი უნიკალური ძალისხმევით, ღმერთისაგან ნაბოძები ნიჭ-უნარით მეოცე საუკუნეში სიკეთისკენ შემოატრიალა ქართველი ერი და...

და დღესაც, მიუხედავად აქა-იქ ბილწი ხელით ჩადებული რიგი წინააღობისა, უცთომლად აგრძელებს გზას – ღმერთისაკენ!

მადლობა, მადლობა და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამისთვის ჩვენს უწმიდესსა და უნეტარესს!

ნანული სარაჯიშვილი

სულხან-საბას „სიტყვის კონიდან“

აბრამიანი - შაქრით და თაფლით ღვინის ბოლინი.
აერეხი - გვარად უნაყოფო ვაზი.
აერიზი - ხის ქერქის თოკი.
აზმაიფარ - საქებელი.
აიაზმა - ბერძნულია, ქართულად წმიდა წყალი ჰქვია.
აინჭილება - ცუდის საქმის დაჟინება.
ალაო - ფეკილი დანოტიოვებული.
ალახ-მალახი - წაღმა უკუღმა.
ალერდი - ნედლი თივა.
ალიკაპი - ხის აღვირი.
ალხი - ნაზამთრი მჭლე პირუტყვი.
ამბოკარი - კაცი უმამულო და უქონელი.
ამლაკი - ჭრელი ცხენი.

ამყოლი - თან ადევნებული.
ანაგული - მატყლის ანაჩეჩი.
ანგარება - სიხარბე.
ანელი - ზაფხულის ნახნავი.
ანძლავი - შრატის ხაჭო.
აოტა - გააქტივია.
არდაგი - წელს ქვევით მოსაფარი.
არე - ჯოგი თხათა და ცხოვართა.
არილი - დასასვენებელი სინძიდეთა(ნი).
არმენაკი - წმიდა ტილო.
არმუნჯი - უწყლო ღვინო.
არსილი - თხელი ბზარი.
ასტამი - ცომის მოსაფხეკი.
ატრია - წმელი ცომის შეჭამანი.
აფრაკი - ფიცარი პირ-მრუდი.
აყინული - უშვერად ყელ-აზეული.

ჩვენს ენაში

„კარგი იქნებოდა, როცა ვკითხულობდით ძველ ქართულ ლიტერატურას, ამოგვეჩერა სიტყვები, რომლებიც დღეს დავიწყებულია, გამქრალია და დავუბრუნოთ მშობლიურ გარემოს, მეტყველებას. ბევრი ლამაზი, ბევრის დამნტევი სიტყვაა შემორჩენილი ცალკეულ კუთხეში... შეიძლება ისინი დავამკვიდროთ დღევანდელ სასაუბრო ენაში.“

უწმინდესი და უნეტარესი ილია II

აჩაჩა - უღლის ჯარის სახენელი.
ახვენილი - აფხეკილი.
ბადიში - შვილიშვილი.
ბავრაცი - ეკლესიის დროშა.
ბალანგარი - კაცი მოუსმინარი.
ბალთვა - ხშირად (დ)აკოდა; გინა (დ)

აჭრა.
ბალამი - სხვათა ენაა, ფელამი ჰქვია.
ბარათი - სხვათა ენაა, მცირე ნაწერსა ჰქვია, ქართულად ავთრათი ეწოდება.



ქართული გალობის მსახურებაში

თბილისის სასულიერო აკადემიის დოქტორანტი, თეოლოგიის და სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი, თბილისის სასულიერო სემინარიის მაგისტრალთა გუნდის ხელმძღვანელი და გალობის ისტორიის პედაგოგი ლაშა ზაალიშვილი დაიბადა თბილისში 1985 წლის 19 აპრილს. მას მუსიკალური ნიჭი ღრმა ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა, როდესაც სულ რაღაც 3 წლის იყო და მღეროდა. როგორც თვითონ ამბობს, მას ეს არ ახსოვს, მაგრამ, საბედნიეროდ, ფირზეა აღბეჭდილი... მისი მუსიკალური ნიჭი შენიშნა ოჯახმა (განსაკუთრებით კი მისმა ბებამ) და 6 წლის ასაკში შეიყვანეს მუსიკალურ სკოლაში, სადაც მისი პირველი პედაგოგი იყო ქალბატონი მარინა ჯიქიძე. მცირე ხნის შემდგომ პარალელურად სწავლა განაგრძო ფოლკლორულ მუსიკალურ სკოლა "მართვეში", რომლის ხელმძღვანელიც გახლდათ ანზორ ერქომაიშვილი. ხელოვნების კუთხით მისი განვითარება საკმაოდ მრავალფეროვნად მიმდინარეობდა: ეს იყო ცნობილ "არტოს ბაღში" არსებულ თეატრალურ სკოლა "თეატრალში" თუ სხვადასხვა მუსიკალურ წრეებში.

ბავშვობის წლებმა ნაყოფიერად და შემოქმედებითად განვლო და უკვე 16 წლის ასაკში მოხდა მისი შეხვედრა ბატონ ჯანსუღ კახიძესთან, რომლის მიერ დაარსებულ თბილისის "ბიჭუნათა კაპელაში" მოღვაწეობის დროს დიდმა მანერით რამდენიმე მონაწილესთან ერთად გამოარჩია და გადაწყვიტა, მათგან კარგი დირიჟორები აღეზარდა. სწორედ ამ დროს აღმოაჩინა ლაშამ საკუთარ თავში დიდი სიყვარული და ინტერესი სადირიჟორო საქმიანობის მიმართ. სამწუხაროდ, ბატონი ჯანსუღი მალევე გარდაიცვალა და მისი გეგმები მასთან ვერ განხორციელდა, მაგრამ ლაშას ოცნება სხვა ადგილას იქცა სინამდვილედ.

სასურველი მიზნისკენ მიმავალმა, გადაწყვიტა, ჩაებარებინა დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პირველ სამუსიკო სასწავლებელში და ამავდროულად დიდი სიხარულით და ინტერესით ესწრებოდა სახელმწიფო კაპელის მთავარი დირიჟორის, ბატონი გივი მუჯიშვილის რეპეტიციებს და გაკვეთილებს, უბრალოდ, იჯდა და უყურებდა თუ როგორ აკეთებდნენ მის საყვარელ საქმეს. მონდომება ფუჭად არასოდეს იკარგება და ბატონმა გივიმაც შენიშნა მონადინებული ახალგაზრდა, რომელსაც ამ პროფესიის დაუფლების დიდი სურვილი ჰქონდა და როგორც

კეთილშობილი ადამიანის გულმონყალებას და მოყვასის მიმართ ქრისტიანულ სიყვარულს სჩვევია, უთხრა, რომ პირველ სამუსიკო სასწავლებელში მის გამო მივიდოდა პედაგოგად. მართლაც, ოთხი წლის განმავლობაში ასწავლიდა ბატონი გივი ლაშას მუსიკალურ სასწავლებელში, შემდგომ კონსერვატორიაში, ბაკალავრიატშიც და მაგისტრატურაშიც. სწორედ ამ სასწავლებელში სწავლის პერიოდში დაინტერესდა ქართული გალობით. ქალბატონმა ლია სალაყაიამ, მისმა პირველმა პედაგოგმა, ასწავლა პირველი საგალობელი და გალობა სამუდამოდ ყველაფერზე მეტად შეაყვარა. დღემდე ახსოვს მისი ნათქვამი ფრაზა: "გალობა ერთადერთია, რაც კაცს ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში მიჰყვება". – სწორედ ამ ფრაზამ გადაწყვეტინა მომავალი ცხოვრება მთლიანად გალობისთვის მიეძღვნა.

პირველი მუსიკალური სასწავლებლის დამთავრების შემდგომ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც დაეუფლა საგუნდო მუსიკის, ფოლკლორის და საეკლესიო გალობის ხელოვნებას. კონსერვატორიაში ბატონ გივი მუნიშვილთან ერთად მისი პედაგოგები იყვნენ ქალბატონი ლია ჭონიშვილი (საგუნდო მუსიკის განხრით), ბატონი მალხაზ ერქვანიძე (საეკლესიო გალობის განხრით), ქალბატონი მაგდა სუხიაშვილი (გალობის ისტორიის განხრით), ქალბატონი ნატო ზუმბაძე (ფოლკლორის განხრით). ლაშა ზაალიშვილი სწორედ აქ შეხვდა საგუნდო მუსიკის დიდოსტატს, ეპოქალურ მოვლენას, ბატონ იოსებ კეჭყაძეს. რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

მისი სამოღვაწეო ასპარეზი საკმაოდ ფართოა. 2006 წელს ანტონ ფურცელაძის ქუჩაზე მდებარე ძველი სამების ტაძარში ჩამოაყალიბა ვაჟთა გუნდი. შემდეგ ქაშვეთის ტაძარში მამა გიორგი ზვიადაძესთან გადავიდა სულიერ შვილად და სტიქაროსნად, ხოლო როდესაც მამა გიორგი პროტოპრესვიტერი გახდა და ღვთისმსახურება სიონის საკათედრო ტაძარში განაგრძო, ლაშაც თან წაჰყვა. სწორედ აქ მიიღო ლოცვა-კურთხევა და შექმნა სიონის საკათედრო ტაძრის ვაჟ მაგალობელთა გუნდი, რომელიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებისგან დააკომპლექტა. ამ გუნდს ხელმძღვანელობდა 2009 წლიდან 2017 წლამდე.



ლაშასთვის ასევე დაუფინყარია ის სამი წელი, როდესაც ხელმძღვანელობდა საპატრიარქოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის მონასტრის დედათა გუნდს, რომელსაც უწმინდესის მიერ საპატრიარქოში აღვლენილ საღამოს ლოცვებზე აგალობებდა. ეს პერიოდი მისთვის ბედნიერების ხანა იყო, რომელიც, სამწუხაროდ, შეწყდა კორონა ვირუსის პანდემიის გამო.

პარალელურად ჯვრის მონასტერში არქიმანდრიტ კონსტანტინე ჭინჭარაულის ლოცვა-კურთხევით ჩამოაყალიბა ბერების გუნდი და სასიხარულოა, რომ ეს გუნდი დღემდე გალობს. 2016 წელს მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსების და სასულიერო პირების გუნდს, რომელსაც ეპიდემიის დაწყებამდე გარკვეული პერიოდი ხელმძღვანელობდა, ამჟამად ლაშა ხელმძღვანელობს თბილისის სასულიერო სემინარიის მაგალობელთა გუნდს და კითხულობს საეკლესიო გალობის ისტორიის ლექციებს.

2019 წელს მოიპოვა თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ამჟამად ამთავრებს სადოქტორო თემაზე მუშაობას თეოლოგიის მიმართულებით და ემზადება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დოქტორანტურაში ჩასარიცხად, საეკლესიო გალობის განხრით.

ლაშას ქართული გალობის ტრადიციის შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნია. ჩვენს მრავალხმიან გალობას ხომ მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. მაგალითად, პოეზიაში ჩვენი რუსთაველის საპიროვნოდ ინგლისელებს ჰყავთ შექსპირი. მუსიკაში თუ ვამაყოთ „აბესალომ და ეთერით“, იტალიელი დაგვისახელებს ვერდის ოპერებს, მაგრამ როდესაც ქართულ გალობას ავაჟღერებთ, ყველა დადუმდება, რადგან ქართულ სამხმოვან ჟღერადობას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს.

განსაკუთრებულია ლაშა ზაალიშვილის ურთიერთობა პატრიარქთან და ჩვენს კითხვაზე, ხომ არ გაიხსენებდა ყველაზე მეტად დასამახსოვრებელ შეგონებას, რომელიც მისმა უწმინდესობამ მისცა, გვიპასუხა, რომ ერთხელ პატრიარქის თანდასწრებით მაქებდნენ, ყველა ააგალობა და უსმენოებსაც ააგალობესო და მე ასეთ ქებას ვუარობდი, მაშინ პატრიარქმა გამაჩერა და მითხრა: "როდესაც გაქებენ, დაიმახსოვრე, რას გეუბნებიან და

ეცადე, ისეთი გახდეო, ხოლო, როცა გლანძღავენ, ნუ გაბრაზდები, ესეც დაიმახსოვრე და ეცადე ისეთი არ გახდეო".

ლაშა ზაალიშვილისთვის შრომა და საკუთარი საქმის კეთება უცნაურობაა, მაგრამ ის შედეგს ღმერთს ანდობს და ამ გზით მის სულს დრტვინვა და ამო შფოთი აღარ ეკარება. როდესაც ვკითხეთ, ოჯახის წევრების გარდა, ვის ემადლიერება, გვითხრა, რომ უსაზღვროდ მადლიერია ღვთის, მისი ოჯახის, პატრიარქის, დედა ნატალია შიოლაშვილის (პატრიარქის დის), მამა გიორგი ზვიადაძის, რომელიც მისი მოძღვარია, სულიერი დედის სიონის ტაძრის გამგებელის, დედა ბარბარე ქართველიშვილის, მამა თეიმურაზ ქორიძის, ბატონი გივი მუნიშვილის, ქალბატონების ლელა ხაჩიძის, მაგდა სუხიაშვილის. განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენებს კიდევ ერთ პიროვნებას, რომლის სახელსაც ვერ დაასახელებს, რადგან თვითონ მან აუკრძალა ეს.

ლაშა თავისი საქმიანობის უმთავრეს სარბიელად თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში მოღვაწეობას მიიჩნევს. და აღნიშნავს, რომ ამ სასწავლებელში არსებული ქრისტიანული გარემო, სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის ქრისტესმიერი ერთობა და მაღალი აკადემიური დონე სამაგალითოა საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვის და ეს სიკეთე მისი სულიერი მოძღვრის, თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის რექტორის, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პროტოპრესვიტერ, გიორგი ზვიადაძის დაუღალავი შრომის შედეგია, რასაც იგი წლებია აღასრულებს მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

ბატონი ლაშა უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავს მამა გიორგი ზვიადაძის მიმართ, სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ქართული გალობის აღორძინების ხელშეწყობისათვის. ამასთანავე, აღნიშნავს პროფესორ ედიშერ ჭელიძის უდიდეს დამსახურებას და ღვაწლს მისი პიროვნების და საქმიანობის მიმართ.

მირანდა ჭიაბარაშვილი,
ქრისტიანული ფსიქოლოგიის
ფაკულტეტის I კურსის
სტუდენტი



საღვთისმეტყველო წერილები

„ფსალმუნთა“ ერთი მუსლის მართებულ გავგებობას

ედიშარ ჭელიძე

ყურადღებას გავამახვილებთ იმ სირთულეზე, რაც ახლავს ფსალმუნთა ძველი ქართული რედაქციების ტექსტობრივი გამართვა-შესწორების პროცესს. აღნიშნული სირთულე, ერთი მხრივ, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ არაიშვიათად საკუთრივ ძველი ქართული ტექსტი რომელიმე ნუსხისა, ცალკე აღებული, შესაძლოა სრულიად მართებული ჩანდეს და მხოლოდ ორიგინალთან (აგრეთვე, სხვაენოვან თარგმანებთან) შედარებამ გაგვიჩვენოს არსებული ცთომილება, თუმცა ამჯერად აქცენტი გვინდა გავაკეთოთ ერთ იმგვარ შემთხვევაზე, როდესაც ტექსტი მართებულად არის დაცული ნუსხებში, მაგრამ მცდარია აღნიშნული ტექსტის გააზრება მკვლევართა (და გამომცემელთა) მიერ.

გულისხმობთ, კერძოდ, 7.5 ფსალმუნურ მუსლს, რომლის გიორგისეული რედაქცია, ყველა არსებული გამოცემის (მეცნიერულისა თუ არამეცნიერულის, მათ შორის, სამწიგნობრო, ჩვენი აღრიხდელი გამოცემების) მიხედვით, ასეთი სახისაა:

«ანუთუ მისა დაგაგე, რომელთა მომაგეს მე ბოროტი, გან-სამე-უკუე-ვვარდე მტერთა ჩემთაგან ცული».

მუსლის საზგასმული სიტყვები იგივეობრივადაა წარმოდგენილი გიორგიმდელი რედაქციების გამოცემებშიც:

«ანუთუ მისა დაგაგე [+ მე] ბოროტი [+მათ], რომელთა მომაგეს მე ბოროტი, ნუუუუე გან-სადა-ვვარდე მეცა მტერთა ჩემთაგან ცული».

ციტირებული მუსლი ბერძნულ სეპტუაგინტაში ასეთი სახისაა:

ἐὶ ἀνταπένδοκα τοῖς ἀνταποδιδόνσιν μοι κακὰ ἀποπέσοιν ἅρα ἀπὸ τῶν ἐχθρῶν μου κενός.

ბერძნული ტექსტი სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება:

„თუკი სანაცვლოს მივაგებ იმთ, რომლებმაც ბოროტებანი მომაგეს მე სანაცვლოდ, შესაძლოა (ალბათ, იქნებ) უკუგდებული ვიყო («გამოვვარდე») ჩემი მტრებისგან [როგორც] ფუჭი (კარიელი, უსარგებლო)“ (შდრ. სეპტუაგინტის ბოლო ინგლისური თარგმანი: if I repaid those who repaid me with evil, then may I a fall away empty from my enemies. შდრ. აგრეთვე, სლავური თარგმანი: ꙗко воздаѣхъ воздаи́щымъ мнѣ злѣ, да ѡпаде ѿ мѣ брѣнь мои́хъ тѣмъ).

ამრიგად, მოცემული მუსლი გომბს ბოროტებაზე ბოროტებით ნაცვალგებას ანუ სამაგიეროს გადახდას მოშუღარისადმი (ამ საკითხზე ვრცლად მსჯელობს წმინდა გრიგოლ ნოსელი თავის შემოქმედებულ ნაშრომში «ფსალმუნთა შედწერილობის შესახებ».

მაგრამ რა შინაარსი იკვეთება ქართულ თარგმან-რედაქციებში არსებული გამოცემების მიხედვით?

დასაწყისი სიტყვები ხსენებული მუსლისა, როგორც ვნახეთ, ამგვარია: «ანუთუ მისა დაგაგე».

ფრაზა «მისა დაგაგე» თავისთავად სავსებით გამართულია (მოცემულ შემთხვევაში სწორედ ეს განპირობებს ცთომილებას), თუმცა მისი შინაარსი შემდეგია:

«მისდაში შევარიგებ», «მისდაში დაგაზავებ», «მასთან მშვიდობას ჩამოვადგებ».

მართლაც, ზმნა «დაგება» ძველ ქართულში სწორედ «შერიგების», «დაზავების» მნიშვნელობას შეიცავს და იგი ამ გაგებით გამოიყენება დოგმატურ კონტექსტშიც, როდესაც წმინდა სწავლების მიერ გვეუწყება, რომ განკაცებულმა ძე-ღმერთმა მამისადმი «დააგო» ანუ მამასთან «შერიგა» მამი-

სგანვე უკუცემული ცოდვილი კაცობრიობა (შდრ. «სიკეთე იგი პირმოძისა მის ხატისაჲ [ძე-ღმერთისა, ე. გ.] ეტრფიალა თუსსა მას პირველშექმნულსა ხატსა [აღამიანს, ე. გ.]. მოღრიკნა ცანი და მისა მიმართ გარდამოცდა... ექმნა მას [აღამიანს, ე. გ.] შუამდგომელ და დამაგებელ ღმრთისა მიმართ მამისა», პეფი მეტაფრასული კრებულები, ნ. გოგუაძის გამოცემული, 1986, გვ. 219) კიდევ: «აღიყვანა [განკაცებულმა ღმერთმა, ე. გ.] იგი [აღამიანი, ე. გ.] ზეცად, მამისა დააგო განდგომილი და დაჰვსნა მტერობაჲ პირველისა მის შეცოდებისაჲ», ნეფშირებული პლისპირნი, გ. კიკნაძის გამოცემული 1982, გვ. 191, და მრავალი სხვა).

ამ საკითხზე ჩვენ აღრეც საგანგებოდ აღვნიშნავდით: „მხოლოდ ძე ღმერთი «გარდამოცდა» აღამიანებისადმი და მხოლოდ მან «დააგო» აღამიანები მამასთან“ (ე. გელოძე, „აღამიანი – ხატი პირმოძისა“, 1995, გვ. 34).

ამრიგად, ფსალმუნთა ძველი ქართული ტექსტი (ყველა რედაქციის მიხედვით), როგორც ვხედავთ, საუბრობს «შერიგებაზე», მაშინ როცა შესაბამის ბერძნულ ტექსტში სახეზეა «ნაცვალგების» აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული (ἐὶ ἀνταπένδοκα, ინგლ. if I repaid, სლავ. ꙗко воздаѣхъ).

რა უნდა იყოს ამგვარი სხვაობის მიზეზი? პასუხი მეტად მარტივია და იგი გულისხმობს შემდეგს:

მოცემულ შემთხვევაში ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში საქმე გვაქვს არა ორ სიტყვასთან «მისა დაგაგე», როგორც ეს გამოცემებშია, არამედ – ერთთან: «მი-სადა-ვაგე». ეს ნიშნავს, რომ ტექსტში სინამდვილეში სახეზეა ზმნა «მივაგე», რასაც ახლავს ძველი ქართულისთვის ესოდენ ნიშანდობლივი ტმესი (ჩან-

ართი) «სადა», რისი ფუნქციაც კავშირებითი კილოს (ე. ი. საეგებიო დაშვების ანდა სამომავლო ვითარების) გამოხატვაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძველ ქართულ ტექსტში წარმოდგენილია ტმესიანი ზმნა «მი-სადა-ვაგე», რაც ახალ ქართულად ნიშნავს: «თუკი მივაგებდი» (ან: «თუკი მივაგებ»). საგულისხმოა, რომ ხსენებული ფსალმუნური მუსლის ბოლო სიტყვაც, წინათონური რედაქციის მიხედვით, ასევე შეიცავს ტმესს «სადა» (შდრ. «... ნუუუუე გან-სადა-ვვარდე მეცა მტერთა ჩემთაგან ცული»).

აღვნიშნავთ, რომ ზედმიწევნით იგივე კონტექსტი (მხოლოდ ქვემდებარით მესამე პირში) გვხვდება, აგრეთვე, «იერემიას წინასწარმეტყველებაში» (მუსლი 18.20), რომლის უძველესი ქართული რედაქცია, გამომცემლის (კ. დანელიას) მართებულად დადგენილი ტექსტის მიხედვით, ამგვარია:

«უკუეთუ მი-სადა-ეგის ბოროტი კეთილისა წილ?» (შდრ. გვიანდელი გეოათური რედაქცია: «უკუეთუ მიეგებიან ბოროტნი კეთილთა წილ?», იხ. იერემიას წინასწარმეტყველების პეფი ქართული ვერსიები, კ. დანელიას გამოცემული, 1992, გვ. 76.)

ამრიგად, ზემოცხიტირებული ფსალმუნური მუსლი ამგვარად უნდა იკითხებოდეს:

წინათონური რედაქცია: «ანუთუ მი-სადა-ვაგე [+ მე] ბოროტი [+მათ], რომელთა მომაგეს მე ბოროტი, ნუუუუე გან-სადა-ვვარდე მეცა მტერთა ჩემთაგან ცული».

ათონური (გიორგისეული) რედაქცია: «ანუთუ მი-სადა-ვაგე, რომელთა მომაგეს მე ბოროტი, გან-სამე-უკუე-ვვარდე მტერთა ჩემთაგან ცული».

ვფიქრობთ, აღნიშნული შესწორება აუცილებლად უნდა შევიდეს ძველ ქართულ «ფსალმუნთა» შემდგომ გამოცემებში.

პრეს სინკრედიტორი

რეზიუმე:

მღვდელი ბიორბი ვაშალომიძე:

მამაღაპრის ტაძარი

„მამადავითად“ ნოდებულის ტყდრის ისტორია წმინდა დავით გარეჯელს უკავშირდება. ისტორიული წყაროების თანახმად, VI საუკუნის საქართველოში ირანელების მძლავრი გავლენა იგრძნობოდა. ამიერკავკასიაში მხოლოდ ჩვენი ქვეყანა რჩებოდა, რომელმაც მართლმადიდებლობა შეინარჩუნა. თუმცა, ჩვენს ერზეც დიდი ზეწოლა იყო, რათა ის ჭეშმარიტ რწმენას განშორებოდა. სწორედ ამის საპირწონედ, ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის განსამტკიცებლად იოანე ზედაზნელის წინამძღვრობით 13 ასურელი მამა ჩამოდის. მათ შორისაა წმინდა დავითი, შემდგომში „გარეჯელად“ ნოდებულის.

თავდაპირველად წმინდა მამე-
ბი ზედაზნის მთაზე დამკვიდრდნენ,
ხოლო იქედან, იოანე ზედაზნელის
მითითებით, მათ სამოღვაწეოდ ალ-
მოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა
მხარეები აირჩიეს. წმინდა დავითის
პირველი სამოღვაწეო ადგილი „მამა-
დავითად“ წოდებული ტაძრის ალაგია,
სადაც ის თავის მოწაფე, ლუკიანესთან
ერთად დამკვიდრდა. მისი ცხოვრების
მიხედვით, მან აქ ერთი გამოქვაბული
აირჩია და მოღვაწეობა დაიწყო.

წმინდა მამების ღვთის მსახურებამ უამრავი ადამიანი მიიზიდა მთაწმინდაზე. თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობა წმიდა დავითთან ადიოდა და ქრისტეს რწმენაში მტკიცდებოდა. ხუთშაბათობით წმინდა მამა ქალაქში ჩადიოდა და ქრისტეს რჯულს ქადაგებდა.

მამა დავითის ლოცვით, მისი გამოქვაბულის ახლოს სასწაულმოქმედმა წყალმა ამოხეთქა. ამ წყაროს წყალობით მრავალი მართლმორწმუნე უშვილობისაგან განიკურნა.

როგორც ცნობილია, გარკვეული პერიოდის შემდეგ, წმინდა მამა დღეს „გარეჯის უდაბნოდ“ ნოდებულ ადგილზე გადავიდა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა.

საინტერესოა პლატონ იოსელიანის ცნობა, რომელიც წმინდა მთაზე პირველი ტაძრის აშენების ისტორიას წმინდა დავით გარეჯელის ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს უკავშირებს. კერძოდ, ერთხელ, წმინდა მამას ერთ-ერთ

დედაკაცთან მრუშობა დააბრალეს. ქალი ორსულად იყო და ბავშვის მამად წმინდა დავითს ასახელებდა. თუმცა, ტყუილი მალე გამოაშკარავდა. თბილისელმა ქრისტიანებმა წმინდა მამა დავით გარეჯელის წინაშე ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდად თითო-თითო ქვა აიტანეს მთაზე, რათა ტაძარი აეშენებინათ. შესაბამისად, აღნიშნული ცნობის თანახმად, მამადავითზე პირველი ტაძარი VI საუკუნის დასასრულს აიგო.

პლატონ იოსელიანის მიხედვით, შემდგომში მამადავითზე IX საუკუნეში სხვა ტაძარი აშენდა: „ჯერ კიდევ წმინდა დავითის ცხოვრებაში აქა ააგეს ეკლესია დავითის მსახურებისათვის. IX საუკუნეში სხვა გაჩნდა, ქვისა, ივერიის ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი და მონასტრად სახელდებული, ათონელი ბერების გამგებლობაში მყოფი.“

როგორც დამონებული ცნობიდან ირკვევა, მამადავითზე IX საუკუნეში ივერიის ღვთისმშობლის სახელზე ააგეს ტაძარი და იგი ათონის მთაზე მდებარე ცნობილი ქართული სამონასტრო კერის – „ივერონის“ მზრუნველობის ქვეშ იყო. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ დროიდან ეწოდა აღნიშნულ ალაგს მამამინდა, რადგან სწორედ ასე მოიხსენიებდნენ ათონის მთაზე მდებარე ქართველთა საჯანეს.

IX საუკუნეში აშენებული ეკლესია დროთა განმავლობაში დაინგრა. 1542 წელს შედგენილი საეკლესიო გუჯარი მიგვანიშნებს, რომ საქართველოს იმ-ჟამინდელ კათოლიკოსს მონაზვნად ალკვეცილი დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებისათვის მთანმინდაზე ღვთისმშობლის ეკლესიის აშენების ნება დაურთავს.

1809 წელს კათოლიკოს ანტონ II – ის ლოცვა-კურთხევით გაბაშვილების მიერ აგებული ეკლესია დაანგრეს და ძველი ეკლესიის ნაშთზე ახალი ააგეს. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ქაშვეთის ტაძრის მეორე მღვდელი თომა გრიგორაშვილი. ახალი ეკლესია პატრიარქ ანტონ II-ის ლოცვა-კურთხევით ფერისცვალების სახელობაზე აკურთხა არქიმანდრიტმა ტრიფილემ.

კავკასიის მთავარმართებლის, ა.



ერმოლოვის დროს, 1817-1818 წლებში სამხედრო მესანგრეებმა გააფართოვეს ეკლესიაში მისასვლელი ძველი გზა. 1850 წლიდან, როდესაც საქართველოში ეკლესიათა რეკონსტრუქცია დაიწყო, დღის წესრიგში დადგა მთანმინდის ნახევრად ქვისა და ნახევრად ხის ეკლესიის განახლების საკითხი.

ახალ, გუმბათიან ეკლესიას საძირკველი 1859 წლის 22 სექტემბერს ჩაეყარა. 1871 წლის 22 სექტემბერს ეგზარქოსმა ვესეიმ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, ხის გუმბათით გადახურული ეკლესია მამა დავით გარეჯელის სახელზე აკურთხა. 1879 წელს დეკანოზმა იოსებ გრიგორაშვილმა სატაძრო ნაგებობა გუმბათით დააგვირგინა.

მამადავითის ტაძრის არქიტექტურა შესანიშნავადაა შერწყმული გარემოსთან. ტაძრის სიმაღლეა 25,7 მ, სიგრძე – 17,2 მ, სიგანე – 10,7 მ. უნდა ითქვას ისიც, რომ ტაძრის ხუროთმოძღვრული სტილი შედარებით სხვაგვარია, ვიდრე მაშინ არსებული თბილისის სატაძრო არქიტექტურა ითვალისწინებდა. კერძოდ, ხუროთმოძღვარი ცდილობს არ მიბადოს იმ დროისთვის გავრცელებულ ბიზანტიურ-რუსულ სტილს და ტაძარს ქართული ხუროთმოძღვრული სახე შეუწარმოოს.

ტადრის სამხრეთით მცირე ტადრისა და სამრეკლოს ერთიანი ნაგებობაა. სამიარუსიანი სამლოცველო აგურითაა ნაშენები, მესამე იარუსი-სამრეკლო კი ქვისაა და თაღებითაა გახსნილი.

ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორია ალექსანდრა ორბელიანი (1835-1914), ლევან მელიქიშვილის (1818-1892) მეუღლე. ორივენი მამადავითის ტაძარშია დაკრძალული.

მხატვრობა – ტაძარი 1889 წელს დეკანოზმა იოსებ გრიგორაშვილმა (გრიგორიევი) მოხატა. ტაძრის გუმბათში ქრისტე-პანტოკრატორია გამო-სახული, ხოლო კონქში წმინდა სამების გამოსახულებაა, საკუთხეველში მო-ციქულთა რიგი, ზემოზე – ღვთისმშო-ბელი და წინასწარმეტყველები. ქრის-ტიანული ხატერის პროგრამის მიხედ-ვით, ინტერიერში სახარებისული მოკლენების იკონგრაფია უნდა იყოს

წარმოდგენილი, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართველ წმინდანთა გამოსახულებებს ვხვდებით. აქ გამოსახულნი არიან: წმიდა ნინო, წმიდა შუშანიკი, დავით გარეჯელი და სხვა ასურელი მამები, ილარიონ ქართველი, გიორგი, იოანე და გაბრიელ მთანმინდელები, მეფე დავით აღმაშენებელი, მონამენი არჩილი და ლუარსაბი.

წყარო – როგორც ზემოთ აღინიშნა, მამადავითის ლოცვით, მისი გამოქვეყნების მახლობლად სასწაულებრივად ამოხეთქა წყარო. მღვიმე და წყარო დღესაც შემორჩენილია. უკანასკნელ პერიოდში, ხსენებულ გამოქვაბულთან ტაძარი აიგო და მოიხატა.

პანთეონი – მამადავითის ტაძრის ეზოში განთავსებულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. პირველი, ვინც ახლადგებული ტაძრის ეზოში დაიკრძალა, მაშინდელი თავადისა და არისტოკრატიის, ნინო ჭავჭავაძის მეუღლე, ალექსანდრე გრიბოედოვი გახლდათ. მარმარილოსგან დამზადებული ძეგლი, რომელიც დღემდე გრიბოედოვის საფლავზე დგას, მასზე უზომოდ შეყვარებულმა მისმა მეუღლემ (რომელიც, მოგვიანოდ, მისივე ქმრის გვერდით დაკრძალეს) შეუკვეთა იტალიელ მოქანდაკეს, სილვიო კამპიონის.

მთანმდინდაზე პანთეონის დაარსების იდეა გაჩნდა 1915 წელს, აკაკი წერეთლის დაკრძალვის დღეებში. ეს იდეა 1929 წელს განხორციელდა, აქ დაკრძალული, ზემოდასახელებული ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალების მეასე წლისთავზე. დღესდღეობით მთანმდის პანთეონი არაერთი ქართველი მამულიშვილის განსასვენებელი ადგილია. აქ დაკრძალული არიან ქართველი მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი, სამშობლოსათვის თავდადებული ქართველები. მათ შორისაა ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.






სასულიერო აკადემიის გამოცემლობის ახალი ნიგნები

გრიგოლ ხუტაისის „წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრების“ და სოფრონ იერუსალიმელის „წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის შესახებ“ კველი ქართული თარგმანები

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა ნაუშდვარა თამარ მარგიანმა



ნიგნში შესულია ორი თხზულების - VI-VII საუკუნეების ავტორის, გრიგოლ ხუტაისის „წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრების“ და ასევე VI-VII საუკუნეების ცნობილი ღმრთისმეტყველის, წმ. სოფრონ იერუსალიმელის „წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის შესახებ“ - ძველი ქართული თარგმანები, შესრულებული X-XI საუკუნეებში დიდი ქართველი საეკლესიო მამებისა და მოაზროვნეების - ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის - მიერ. „წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის შესახებ“ ბერძნული დედანი დაკარგულია, არსებობს მისი მხოლოდ მცირე მოცულობის ფრაგმენტი, ამდენად, ამ ტექსტის XI საუკუნის ეფრემ მცირისეულ თარგმანს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის კუთხით, არამედ, ზოგადად, ბიზანტიური ლიტერატურის კვლევისთვისაც. წარმოდგენილ ტექსტებს წინ უძღვის მათი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი.

ბრაგნილი
სამკლავის-სამეცნიერო კრებული
IX

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პერიოდული გამოცემის, საეკლესიო-სამეცნიერო კრებულ „გრაგნილის“ IX ტომში შევიდა სასულიერო აკადემიის რვა დოქტორანტისა და მაგისტრატურის ერთი კურსდამთავრებულის სტატიები. ეს ტექსტები სამაგისტრო ნაშრომების შემოკლებული ვერსიებისა და სადოქტორო ნაშრომების ნაწილებია. მასალა სასულიერო მწერლობის რამდენიმე დარგის ფარგლებში (ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, ასკეტიკა, ჰომილეტიკა) მოიცავს როგორც თეორიულ კვლევებს, ასევე, დიდი ბიზანტიელი საეკლესიო მამების (წმ. ანდრია კრიტელის, წმ. მარკოზ მონაზონის, ევფრემ პონტოელის, თეოდორე აბუკურას) თხზულებების აქამდე გამოუცემელ უძველეს ქართულ თარგმანებს, შესრულებულს სხვადასხვა მთარგმნელობითი სკოლის წარმომადგენელთა მიერ (წმ. ეფთვიმე




ათონელი, წმ. ეფრემ მცირე, წმ. არსენ იყალთოელი). კრებულში, ასევე, შევიდა რუსი ავტორის - ილუმენი დიონისეს (მლიონოვი) სტატიის ქართული თარგმანი, რომელიც აქტუალურია და თემატურად საინტერესო სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთათვის. წარმოდგენილ სტატიათა მეშვეობით მკითხველთა ფართო საზოგადოება გაეცნობა მნიშვნელოვან სიახლეებს. ამა თუ იმ საკითხზე არსებული სამეცნიერო მიღწევების სრულად გამოყენება-გათვალისწინება კიდევ უფრო ღირებულს ხდის კრებულში შესულ ნაშრომებს.

ქართული ნათარგმნი
ჰომილეტიკური კვლევები
VI

ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები (ანდრია კრიტელი, სოფრონ იერუსალიმელი, გრიგოლ ნეოკესარიელი, ევსუქი იერუსალიმელი, ფსევდობასილი კესარიელი)

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ნინო მელიქიშვილმა




სერიით - „ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები“ - ქვეყნდება III-VIII საუკუნეების დიდი საეკლესიო მამებისა და ღმრთისმეტყველების: წმ. ანდრია კრიტელის, წმ. სოფრონ იერუსალიმელის, წმ. გრიგოლ ნეოკესარიელის, წმ. ევსუქი იერუსალიმელისა და ერთი ანონიმი ავტორის (ფსევდობასილი კესარიელის) ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების (ხარების, შობისა და მიცვალების) ბერძნული ენიდან შესრულებული

ბული ძველი ქართული თარგმანები. გამოცემულ ტექსტებს დართული აქვს გამოკვლევა, რომელშიც, გარკვეული გადამუშავებით, გაერთიანებულია რამდენიმე სამეცნიერო კრებულსა და ჟურნალში 2021-2023 წლებში სტატიების სახით გამოქვეყნებული მასალა. მთარგმნელობით მეთოდსა და ტერმინთმნადობის პროცესზე დაკვირვებით, დადგენილია ტომში შესული ძველი ქართული ტექსტების მთარგმნელთა სავარაუდო ვინაობა (წარმოდგენილიდან დანამდვილებით მხოლოდ ერთი ტექსტის მთარგმნელია ცნობილი); განხილულია ის ტექსტობრივი კავშირები და მათი სავარაუდო წყარო, რომელიც არსებობს ერთი და იმავე დღესასწაულისადმი მიძღვნილ ჰომილიებს შორის; ნაჩვენებია ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების სხვადასხვა პერიოდის ტექსტების საღვთისმეტყველო კუთხით განვითარების ხაზი.


თბილისის სასულიერო
აკადემიისა და სემინარიის
საკონფერენციო მოხსენებათა
კრებული (2022 წლის მაისი)

IV



კრებულში წარმოდგენილია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის 2022 წლის მაისში ჩატარებულ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები. თემატიკიდან გამომდინარე, კრებული მრავალფეროვანია - ის მოიცავს სასულიერო მწერლობის რამდენიმე დარგს, ასევე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიასთან, სამართალთან, ხელოვნებასთან, ძველ ქართულ ფილოსოფიასთან, ფილოლოგიასთან და რელიგიის ისტორიასთან დაკავშირებულ, გარკვეული სიახლეების შემცველ, წერილებს. თითოეულ საკითხთან მიმართებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალა სისრულით არის მოწოდებული. გამოცემა დახმარებას გაუწევს საეკლესიო ლიტერატურით დაინტერესებულ მკვლევრებსა და ფართო საზოგადოებას.

ბერი ამბაკუმი ათონელი
ათონელ მღვდელსქემონაზონ ამბაკუმის (ვაკაროვი; 1899-1972) ცხოვრება



ცნობილი მეცნიერის სერგეი შუმილოვს ნიგნი მოგვითხრობს ათონელი ბერის ამბაკუმის (ვაკაროვი; 1899-1972) - ღირსი ალექსი (კაბალიუკი) კარპატელისა და ღირსი სილუანე ათონელის მონაფისა და მიმდევრის - ცხოვრების შესახებ. ის დაიბადა ზაკარპატიეს მთიან სოფელში (დასავლეთ უკრაინა) და 1926-1972 წლებში მოღვაწეობდა ათონის წმინდა მთის წმინდა პანტელეიმონის მონასტერში. დიდი ხნის მანძილზე ბერ ამბაკუმს რამდენიმე მორჩილება ჰქონდა: იყო სავანის ბერთა კრების წევრი, იკონომოსი და ათონის წმინდა კინოტის ანტიპროსოპოსი (წარმომადგენელი). მისი ძალისხმევითა და მოწოდებით პანტელეიმონის მონასტერი ათონზე საბოლოო გადატანისა და დაცემას გადაურჩა.

წმინდა მთაზე იგი დაუახლოვდა პანტელეიმონის სავანეში მოღვაწე ქართველ ბერს, მღვდელსქემონაზონ სვიმეონს (ბაღდავაძე) - ღირსი თეოდოსისა (ერისთავი) და ღირსი იოანეს (მაისურაძე) თანამოსაგრეს. მას აგრეთვე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ღირს პაისი მთაწმინდელთან, ღირს სოფრონთან (სახაროვი), ღირს პორფირე კავსოკალიველთან, ღირს ეფრემ კატუნაკელთან და მრავალ სხვა ათონელ ბერთან.

ნიგნში წარმოდგენილია აქამდე უცნობი დოკუმენტები ათონისა და სხვა მრავალი მონასტრის არქივებიდან. ნიგნი საინტერესო იქნება როგორც სპეციალისტების, ასევე - ეკლესიის ისტორიითა და ათონის მეშვეობით დაინტერესებულ პირთათვის.

ნიგნის მთარგმნელი თამარ ჩუბინიძე;

სამეცნიერო რედაქტორია ფილოლოგიის, ღმრთისმეტყველებისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე;

რედაქტორები: ლალი ხუჭუა და გიორგი ჯულაყიძე.

შორენა ფარქოსაძე

გაზეთის თებერვლის ნომერი მოამზადეს გივი შაყილაძემ (რედაქტორი) და ჟურნალისტმა სალომე გომინაშვილმა (პასუხისმგებელი მდივანი).

დამკაბადონებელი - შორენა ფარქოსაძე
დაიბეჭდა შპს „მერიდიანის“ სტამბაში.